ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 16 იანვარი, 2018 | №12 (7557) | ფასი: 50 თეთრი

## ჯონდი ბაღათურია: „ნარკოპოლიტიკის კანონპროექტი ნარკოტიკების ვაჭრობას შეუწყობს ხელს“



გვ.2

რატომ შეაჩერა პარლამენტმა კანონპროექტის განხილვა

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# რატომ მოკლეს გენერალი სოსო ქუთათელაძე?



გვ.3

„შემოვიდა შეტყობინება, რომ რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავის სამუშაო ოთახში ნანახია გარდაცვლილი ბაზრობის დირექტორი. ჩვენი მოსვლის შემდეგ, ცხედრის დათვალიერების შედეგად ვნახეთ, რომ გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნებოდა ცეცხლნასროლი ჭრილობები“



გვ.4

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ ნაციონალების გზას დაადგა“

„ამ ხელისუფლებას მოძალადე პოლიციელების და სპეცრაზმელების დაუსჯელობა გადაიყოლებს“

## სად უნდა იყოს თბილისის რკინიგზა? – დავა მერიასა და გენგეგმის ჯგუფს შორის



გვ.5

## ლევან ჩაჩუა: „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბანკების მოგება ასტრონომიულად გაიზარდა“



გვ.3



გვ.2

## ჯაბა ჯიშკარიანი: „ოპოზიციის ნაწილის პოლიტიკური დღის წესრიგი არის ბოლმა!“

### სამართალი

გვ.7



## ოთარ აბესაძე ბირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა

## ავჭალაში ცოლ-ქმარი მოკლეს



## ქუთაისში დაცვის თანამშრომლის დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს



### ეკონომიკა

გვ.6

## კახა კალაძე: „ბიუროკრატია უნდა დაირღვეს თბილისის მერიაში“



## „ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობის ზრდამ საქართველოში საწვავის მოხმარება შეამცირა“



## ილია ელოშვილი: „თბილისის გენგეგმასთან დაკავშირებით კომპრომისზე ვერ წავალთ, დოკუმენტი უნდა იყოს სრულყოფილი“



ISSN 1987-9385

**4** ერთადერთი ქართველი პარლამენტარი, რომელმაც დეკლარაციაში ბიტკოინის ფლობა მიუთითა

**5** „ქართულმა თხილმა ევროკავშირის ბაზარზე პოზიციები დაკარგა“

**6** სემეკი ცალკეული პირებისათვის ინდივიდუალურ ტარიფებს არ ადგენს

**4** დეკემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 138.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

# ჯონდი ბაღათურია: „ნარკოპოლიტიკის კანონპროექტი ნარკოტიკების ვაჭრობას შეუწყობს ხელს“

## რატომ შეაჩერა პარლამენტმა კანონპროექტის განხილვა

ნონა ცაბაძე

კანონპროექტი ნარკოპოლიტიკის შესახებ, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა, დროებით შეჩერდა. საპატრიარქო – პარლამენტის წინააღმდეგ, ასე მოინათლა ეს დავა.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ქართული დასის“ ლიდერ **ჯონდი ბაღათურიას** ესაუბრა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ განხილვებში.

***– ბატონო ჯონდი, კანონპროექტს ნარკოლიბერალიზაციის შესახებ დიდი ხმაური მოყვა. თქვენთვისაც ცნობილია, რომ საპატრიარქო აღნიშნული კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა და მისი შეჩერება მოითხოვა. საპატრიარქო პარლამენტის წინააღმდეგ, ასე მოინათლა ეს საკითხი. რას იტყვით თქვენ?***

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ პატრიარქის პოზიცია არის სწორი და ეს ლოზუნგი საპატრიარქო პარლამენტის წინააღმდეგ არის ცრუ ლოზუნგი.

***– რას იტყვით საპატრიარქოს პოზიციაზე?***

– რაც შეეხება თვითონ პოზიციებს, ჩვენ ყველა, ამ კანონპროექტის მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც, ეკრანზე ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვთანხმდებით, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელიც არის ნარკოდამოკიდებული, რაც ითვლება დაავადებად, არ უნდა დავიჭიროთ, მაგრამ ამ კანონპროექტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ნარკოტიკების მომხმარებელზე.

***– აბა რაზეა საუბარი?***

– კანონპროექტი პირდაპირ ლობირებს და ახდენს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების ლეგალიზაციას. მე შემიძლია მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი წარმოდგენილი კანონპროექტიდან.

***– მაგალითად?***

– ამ კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილი სრულად ათავისუფლებს აღმკვეთი ღონისძიებისგან, ანუ პატიმრობისგან პირებს, რომლებიც იქნებიან მხილებული ნარკოტიკების შეძენის, დამზადების, წარმოების, გადატანის და გადაგზავნისთვის. ხოლო 260-ე მუხლის მეორე ნაწილით, პირები, რომლებიც ჩაიდიან შემდეგ დანაშაულს: ყველა სახის ნარკოტიკის შეძენა, შენახვა, გადატანა, გადაზიდვა, დამზადება და წარმოებაც კი, ჯგუფურად, არაერთგზის და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ისჯება ფულადი ჯარიმით!

***– რა გამოდის, რომ გამავრცელებლისთვის იცვლება კანონი, რომ ისინი არ დაისაჯონ? ანუ ვიღაც ამ ბიზნესს მფარველობს?***

– რა თქმა უნდა! მე რა ციტატებიც წაგიკითხეთ, იქ სიტყვაც კი არ არის ნახსენები ნარკოტიკების მომხმარებელზე, ათავისუფლებს პატიმრობისაგან ადამიანებს, რომლებიც დიდი ოდენობით ნარკოტიკებს დაამზადებენ, გადაიტანენ, გადააგზავნიან, შეინახავენ და გაავრცელებენ. პირდაპირ ვაცხადებ, ეს არის ნარკომოვაჭრეთა საერთაშორისო სინდიკატის მიერ ლობირებული კანონპროექტი!

***– ამის წინააღმდეგ გამოვიდა საპატრიარქო და არა მომხმარებლების?***

– დიახ, სწორედ ამის წინააღმდეგ გამოვიდა საპატრიარქო და ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი. მე დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გამოდის ამ კანონპროექტის მხარდასაჭერად, წაკითხული არ აქვს ეს. კანონპროექტის ავტორები ერთმანეთისგან მიჯნავენ ნარკოტიკებით ვაჭრობას და ნარკოტიკების გავრცელებას. აქამდე მუხლი იყო ასეთი: გასაღება-გავრცელება.

***– და ახლა რა იცლება?***

– კანონპროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ გავრცელება, ანუ ფინანსური ინტერესის გარეშე თუ გაავრცელებ ჰეროინს, კოკაინს და სუბოტექსს, ნაკლები ბოროტებაა და აქაც პირველი ნაწილით ათავისუფლებენ პატიმრობისგან პირს, რომელიც ნარკოტიკების გავრცელებას ეწევა. ხოლო ადმინისტრაციულ კოდექსში შედის ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, ნებისმიერი ტიპის ნარკოტიკული საშუალების ექსპორტი საქართველოში, ან იმპორტი საქართველოდან, ან საერთაშორისო ტრანზიტი, ისჯება ჯარიმით 100 ლარამდე.

გეკითხებით, აქ ნარკოტიკების მომხმარებლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებაზეა საუბარი თუ ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრობის ლობიზმი მიდის?!

კიდევ ერთი მუხლი, ძალიან საინტერესო: პირს, რომელიც არასრულწლოვანის თანდასწრებით მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებს, უწესდება ჯარიმა 200 ლარის ოდენობით.



ვსვამ შეკითხვას, ახლა რაც მე წავიკითხე, აქ სადმე ნარკოტიკების მომხმარებელზე ზრუნვა ჩანს?! ან ერთი სიტყვით მაინც, დადებით ან უარყოფით კონტექსტში, ნარკომომხმარებელი ნახსენებია?! აქ საუბარია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ეწევიან ნარკოტიკებით ვაჭრობას! და საუბარია 100 და 200 ლარიან ჯარიმებზე.

***– რას მივიღებთ, აღნიშნული კანონპროექტი თუ შევა ძალაში?***

– ეს კანონპროექტი დაწერილია და ლობირებულია ნარკომოვაჭრეთა საერთაშორისო სინდიკატის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ახალგაზრდობის დაწამვლას ნარკოტიკებით და დაუსჯელ ვაჭრობას. აქ ლაპარაკი არ არის, მსუბუქ ნარკოტიკებს რომ ეძახიან, მარიხუანაზე და მსგავს ნარკოტიკებზე. ნარკოტიკების ვაჭრობაზეც კი არსებული კანონპროექტით სასჯელი იცვლება. არსებული კანონით, ნარკოტიკებით ვაჭრობა უვადო პატიმრობასაც კი ითვალისწინებს და კანონის ავტორები გვთავაზობენ, რომ 3-დან 7 წლამდე შემცირდეს ნარკოტიკების მოვაჭრისთვის სასჯელი.

***– და ასეთ კანონპროექტს ლობირებს პარლამენტი და მისი დამტკიცება უნდა?***

– მე წინ მიდევს კანონპროექტი, რომელსაც კენჭი უყარა ჯანდაცვის კომიტეტმა პირველი მოსმენით. რომელზეც შემპირდნენ, რომ კი, სწორს ლაპარაკობ და შევცვლითო, მაგრამ მას მაინც ეყარა კენჭი პირველი მოსმენით და რომლის შეჩერება მოითხოვა პატრიარქმა და ეკლესიამ მთლიანად, რომლის შეჩერება მოითხოვა მეცნიერებათა აკადემიამ, მთლიანად მისმა პრეზიდიუმმა, რომლის შეჩერებას ვითხოვთ ჩვენ და ითხოვს ქართველი საზოგადოება!

ჩვენ ვამზადებთ ცვლილებების პაკეტს, დეპუტატთა იმ ჯანსაღ ნაწილთან ერთად, ვინც მხარს არ უჭერს აღნიშნულ კანონპროექტს, ვგულისხმობ უმრავლესობის წევრებს.

***– ანუ უმრავლესობაშიც არ არის ერთიანი პოზიცია ამ საკითხზე?***

– უმრავლესობაში არის აზრი გაყოფილი ორ ნაწილად. უმრავლესობაში უფრო მეტნი არიან ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ნარკოტიკების ვაჭრობის და ნარკოტიკების ლეგალიზაციის, მაგრამ ამ მეორე ნაწილს უმრავლესობის, რომელიც უფრო ნაკლებია რაოდენობით, ზურგს უმაგრებენ ნაციონალურ მოძრაობა და ე.წ. ბოკერიას ფრთა. „ქართული ოცნების“ ეს ჯგუფი, ნაცმოძრაობასთან და „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად, ლობირებენ აი ამ კანონპროექტს.

***– რა გადაწყდა საკმაოდ ხმაურიანი განხილვების შედეგად?***

– აქვე ვიტყვი, საკმაოდ კონსტრუქციული იყო ბოლო შეხვედრა, იქ იყვნენ ბატონი აკაკი ზოიძე და ბატონი ლევან კობერიძე, რომლებიც კონსტრუქციულად იყვნენ განწყობილები და თქვეს, რომ არსებული ვითარება მოითხოვს იმას, რომ ჩვენ ყველანი, მხარეები, შევთანხმდეთ ამ პროექტზე. გადაწყვეტილება, რომ პარლამენტში განხილვები და კენჭისყრა შეჩერდეს, უკვე მიღებულია. ეს დაფიქსირდა ბოლო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა მეცნიერებათა აკადემიაში.

ამ კანონპროექტზე მუშაობა აუცილებელია, ჩვენ დაგვიანებითაც კი დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ პროექტის მიზნები და ამოცანები უნდა იყოს ნარკომომხმარებელთა რაოდენობის შემცირება, მათი რეაბილიტაცია, მათი ციხეში არჩასმა და არა – ნარკომოვაჭრეებისა და გამავრცელებლებისთვის სასჯელის შემსუბუქება. პირიქით, მათთვის ზომები უნდა გამკაცრდეს!

# ჯაბა ჯიშკარიანი: „ოპოზიციის ნაწილის პოლიტიკური დღის წესრიგი არის ბოლმა!“

ნათია ხურცილავა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ჯაბა ჯიშკარიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კახა კალაძის მიერ თბილისის მერიაში დაგეგმილ რეორგანიზაციაზე საუბრობს.




***– ოპოზიციის ნაწილი მიესალმება, ნაწილი აკრიტიკებს. მაგალითად, ირაკლი აბესაძე აცხადებს, რომ, როგორც ჩანს, მერიაში მიმდინარე რეორგანიზაცია გამოყენებული იქნება პოლიტიკური ნიშნით მერიის შემადგენლობის ჩანაცვლებისთვის. ის სასაცილოს უწოდებს ამ ყველაფერს. რას უპასუხებთ?***

– ირაკლი აბესაძეს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება, რომ განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს. თუმცა, ამ რეორგანიზაციის შედეგებს დედაქალაქის მოსახლეობა აუცილებლად იგრძნობს. იმ მოსავალს, რომელსაც ჩვენ დავთესავთ, აუცილებლად ჩვენს მოქალაქეებთან ერთად მოვიმკით, ამის პირობას ვაძლევ ირაკლი აბესაძეს. ცხადია, გვაინტერესებს, თუ რა ცვლილებებს განახორციელებს დედაქალაქის მთავრობა და ამ სასიკეთო ცვლილებების განხორციელებაში გვერდით ვუდგავართ, რომ ამომრჩევლის ნდობა არ გავაწბილოთ და გაცემული დაპირებები სისრულეში მოვიყვანოთ.

***– მაგალითად, ალეკო ელისაშვილს, მერობის ყოფილ კანდიდატს, მოსწონს, რომ არქიტექტურის სამსახურისთვის ურბანული დაგეგმარების ნაწილი გამოეყოფა.***

– დიახ, რაც კეთდება ამ ქალაქში, ის ოპოზიციის ნაწილს მოსწონს, მაგრამ ნაწილს რატომღაც აღიზიანებს.

***– ზაალ უდუმაშვილი, ასევე მერობის ერთ-ერთი კანდიდატი, გამოეხმაურა და თქვა, რომ კალაძეს პიარი კარგად ეხერხება და რომ ეს პრეზენტაცია არის პიარი და სხვა არაფერი.***

– პიარს რაც შეეხება, პიარი არის ზაალ უდუმაშვილის მოგონილი. მისი პოზიორობა წინასაარჩევნოდ ყველამ კარგად ვნახეთ. არ მინდოდა ამ თემებზე საუბარი, მაგრამ ხომ უნდა ვთქვა სიმართლე?! პიარი როგორ არის, როდესაც რესტრუქტურიზაციაზეა საუბარი, როდესაც საქმის უფრო ეფექტურად გაკეთებაზეა საუბარი?!

ალბათ, ოპოზიციის ნაწილის პოლიტიკური დღის წესრიგი არის ბოლმა! თუმცა, ჩვენ, ამ ქალაქის მოსახლეობამ, ეს ხალხი ვნახეთ ხელისუფლებაში. არ მინდოდა წარსულის ეს ნაწილი გამეხსენებინა, მაგრამ როგორც ჩანს, მათი კომენტარები სხვა შესაძლებლობას, უბრალოდ, არ გიტოვებენ ადამიანს. მათ გავახსენებდი იგივე პრემია-დანამატებს, არამიზნობრივ ხარჯებს, დასუფთავების სამსახურში ათასობით ადამიანი რომ ჰყავდათ გაფორმებული და როგორ იღებდნენ ხელფასებს არაფერში ეს ადამიანები. ფიქრობენ, რომ ეს დაავიწყდათ თბილისელებს! ამ დანაშაულისთვის თბილისის ყოფილმა მერმა სასჯელიც მოიხადა.

***– ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით კალაძემ ისაუბრა, მაგარამ ამ ინტერვიუს ფარგლებშიც უნდა გკითხოთ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რას იტყვით ამ საკითხზე?***

– ეს არის სასაცილო. ეს არის საზოგადოების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. ეს არის მათი უკანასკნელი გაფართხალება.

***– რეალურად რასთან გვაქვს საქმე? მერიის მაღალჩინოსნებს ემატებათ ხელფასები თუ არა?***

– გეუბნებით: არც ერთი თეთრით არ იგეგმება ხელფასების გაზრდა. შემიძლია გადმოგიგზავნოთ ხელფასების ნუსხა მათი მმართველობის დროს მერიაში და შემიძლია დღევანდელი ხელფასების ოდენობა გადმოგიგზავნოთ. ჩვენი მთავრობის მმართველობის დროს, გნებავთ ნარმანიას მერობის დროს, გნებავთ კალაძის პერიოდში არსებული ხელფასები შევადაროთ მაშინდელ ხელფასებსა და დანამატებს, ამით ყველაფერი იქნება ნათქვამი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და სხვა არაფერი. როგორც ჩანს, ენას მართლაც არ აქვს ძვალი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ მოკლეს გენერალი სოსო ქუთათელაძე?

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში რთული კრიმინოგენური ვითარებაა. რაც 2018 წელი დაიწყო, მკვლელობის, დაჭრის თუ დაყაჩაღების გარეშე არც ერთ დღეს არ ჩაუვლია.

გუშინ, 15 იანვარს, სამუშაო კაბინეტში პარლამენტის ყოფილი წევრი, გენერალი სოსო ქუთათელაძე მოკლეს. ის რუსთავში ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ერთ-ერთი მეწილე იყო.

თვითმხილველთა თქმით, მოკლული დაცვის თანამშრომელმა იპოვა. მას ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში აქვს ჭრილობა მიყენებული. სამართალდამცავების ვარაუდით, გასროლა მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელდა.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტების გარდა, რუსთავის პოლიციის უფროსი თამაზ მეშველაშვილიც მივიდა.

მან ჟურნალისტებთან საუბრისას დაადასტურა ინფორმაცია, რომ გარდაცვლილს ჭრილობა თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვს მიყენებული.

– შემოვიდა შეტყობინება, რომ რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავის სამუშაო ოთახში ნანახია გარდაცვლილი ბაზრობის დირექტორი. ჩვენი მოსვლის შემდეგ, ცხედრის დათვალიერების შედეგად ვნახეთ, რომ გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნებოდა ცეცხლნასროლი ჭრილობები.

გამოძიება დავიწყეთ ორი – 108-ე და 236-ე მუხლებით, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპერტიზები და საგამოძიებო მოქმედებები, – განაცხადა თამაზი მეშველაშვილმა.

როგორც ინტერპრესნიუსი წერს, ბაზრის ერთ-ერთი მეწილე უზი ნონი ამბობს, რომ ქუთათელაძეს კონფლიქტი არავისთან ჰქონია და ვერსიებზე საუბარი უჭირს.

ვერსიებზე ვერც გარდაცვლილის მეგობრები და ახლობლები საუბრობენ.

სოსო ქუთათელაძე 1992 წელს სამაჩაბლოში რუსების მიერ მოკლული ბესო ქუთათელაძის ძმაა.

სოსო ქუთათელაძე 1964 წელს დაიბადა. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ის 1991 წლიდან მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

2001 წლამდე მსახურობდა საჩხერის სამთო-მსროლელთა ბატალიონში; 2001 წლიდან ეროვნული გვარდიაში გადმოინაცვლა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის დასაწყისში ის ეროვნული გვარდიის სარდლად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე 2006 წლამდე დარჩა.

2008 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.





გენერალი სოსო ქუთათელაძე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ასევე სამშვიდობო ოპერაციებში ერაყში.

მინიჭებული ჰქონდა აშშ-ის არმიის გენერალ-მაიორის საპატიო წოდება, ასევე საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდება.

გენერალი ქუთათელაძე დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქუთათელაძე ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ შევარდნაძის მმართველობის დროს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა საჩხერის სამთო-მსროლელთა ბატალიონს, რომლის მეთაურიც წლების მანძილზე სოსო ქუთათელაძე იყო.

მათ ურთიერთობა 2011 წელს დაეძაბათ. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ. მის მხარეზე ბევრი გადავიდა. ქუთათელაძე ისევ ნაციონალებში დარჩა. თუმცა მასზე ცუდად არასდროს საუბრობდა. მის მიმართ პრეტენზიები არც ყოფილ პრემიერს გამოუხატავს.

როგორც „ახალ თაობას“ ქუთათელაძის მეგობარმა განუცხადა, გარდაცვლილი გენერალი და ყოფილი პრემიერი 2 წლის წინ შერიგდნენ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ის ბიზნესში წავიდა და 15 იანვრამდე თავისი საქმით იყო დაკავებული.

## საქართველოს საპატრიარქომ სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას წერილი მისწერა

საქართველოს საპატრიარქო სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაგზავნილი წერილის შინაარსს ასაჯაროებს. საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებამ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის სერბეთის პატრიარქ ირინეოსთან შეხვედრის გამო სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილებას წერილით მიმართა.

– მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით და პირველ რიგში გილოცავთ შობა-ახალ წელს.

ამასთან, გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ საკითხზე:

საქართველოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერბეთის ეკლესიის მეთაურმა, უნეტარესმა ირინეოსმა, თავის რეზიდენციაში მიიღო ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი, რაც ჩვენს საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითად იქნა აღქმული და ამის თაობაზე კითხვებს ჩვენც გვისვამენ.

შევნიშნავთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ცხინვალის რეგიონი, სამაჩაბლო, – ეს ერთი და იმავე სივრცის აღმნიშვნელი ტერმინებია და აქ 25 წელზე მეტია, რაც საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს ეკლესია, ფაქტიურად, თავის იურისდიქციას ვერ ახორციელებს, რადგან იგი არის ოკუპირებული. არადა ეს მხარე, უძველესი ქართული მიწაა, რასაც აღიარებს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა და, მათ შორის, თქვენი ქვეყანაც. ამიტომაც, აღნიშნული შეხვედრა, ბუნებრივია, თქვენი მხრიდან გარკვეულ ახსნას ითხოვს.

საქართველოში უყვართ სერბი ხალხი და სერბეთის ეკლესია. ვიმედოვნებთ, ჩვენი ურთიერთობა კვლავაც ძმურ სიყვარულზე, პატივისცემასა და სამართლებრივ პრინციპზე იქნება დაყრდნობილი, მით უმეტეს, ორივე ქვეყანას და ეკლესიას რთული პერიოდი გვაქვს გადატანილი და ვიცით დიდი განსაცდელებით გამოწვეული ტკივილის ფასი.

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ყოველ კეთილ საქმეთა შინა წარმატებას.

გთხოვთ, ჩვენი გულისტკივილი და კეთილი სურვილები გადასცეთ უნეტარეს ირინეოსს, – ნათქვამია წერილში.

როგორც ცნობილია, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ბოსნია და ჰერცოგოვინას ფედერაციაში შემავალ სერბთა რესპუბლიკაში 8-13 იანვრის ჩათვლით იმყოფებოდა.

„ვიზიტის“ ფარგლებში ბიბილოვი სერბთა პრეზიდენტ მილორად დოდიკს და სერბეთის პატრიარქ ირინეოსს შეხვდა.

# ლევან ჩაჩუა: „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბანკების მოგება ასტრონომიულად გაიზარდა“

მარიამ მჭედლიშვილი

## „მაკვირვებს ჩვენი მოსახლეობის მონური მოთმინება“

პრობლემატურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას**.

***– პრემიერ კვირიკაშვილს 2018 წელი დიალოგის წლად აქვს გამოცხადებული. იგი აპირებს, მოიაროს რეგიონები და შეხვდეს მოსახლეობას. რა ექნება მას სათქმელი?***

– ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა უთხრას პირისპირ შეხვედრისას საკუთარ მოქალაქეებს გიორგი კვირიკაშვილმა. ეს კაცი იმ მმართველი ძალის ლიდერია, რომელმაც 2012 წლიდან მოყოლებული უამრავი დაპირება მისცა ხალხს. როგორ შესრულდა ეს დაპირებები, ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. გაღატაკებას და გაუარესებას საკუთარ ტყავზე გრძნობს ყველა, ერთი პატარა გამდიდრებული კასტის გარდა.

განსაკუთრებით ნეგატიურად იმოქმედა ფასებზე ნავთობზე შემოღებულმა მაღალმა სააქციზო გადასახადმა. ეს შარშან წლის დასაწყისში მოხდა. მას შემდეგ ცხოვრება სულ უფრო გვიძვირდება. ამ საახალწლო დღესასწაულების წინაც დაგვასაჩუქრეს დენისა და წყლის ტარიფების გაძვირებით. გაძვირებული გადასახადი ბევრს უკვე მიუვიდა. ეს ხელისუფლება ამას არ გვაკმარებს და საქართველოს უწოდებს პირველ ქვეყანას რეგიონში ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

***– ეკონომიკური ზრდა საქართველოში უმნიშვნელოა.***

– ეს ციფრი, საქსტატის მიხედვით, 4,7%-ია. საქართველო პირველ ადგილზე როგორ არის, როცა სომხეთში ეკონომიკური ზრდა 5,2%-ია, ხოლო თურქეთში – 5%. ამაშიც კი იტყუება ეს ხელისუფლება. ნორმალური ისაა, როცა ეკონომიკური ზრდა უკავშირდება წარმოებას. საქართველოში არანაირი წარმოება არ არსებობს. ერთადერთი, რაც გამართულად და სარფიანად მუშაობს, საბანკო სისტემაა.

„ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბანკების მოგება ასტრონომიულად გაიზარდა. 2012 წელს, ანუ „ქართული ოცნების“ მოსვლამდე, ამ სისტემაში მოგება 217 მილიონი იყო, ხოლო 2017 წელს მოგებამ 800 მილიონს გადააჭარბა.

სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, რომელმაც მეც მაქცია პოლიტპატიმრად, ხალხს ძარცვავდა, იჭერდა, ქონებას ართმევდა. ბოლოს სააკაშვილი თავისიანების დაჭერაზე გადავიდა. „ქართული ოცნება“ საკუთარ საზოგადოებას სხვანაირად აჩანაგებს. „ოცნებამ“ ფაქტობრივად მთელი საქართველო ჩადო ბანკებში. ხელისუფლებაში ძირითადად ბანკირები არიან. ქუმსიშვილმა ერთხელ პირდაპირ თქვა, ამ სფეროს წარმომადგენელი ვარ და ბანკების ინტერესებს ყოველთვის დავიცავო. ამას მარტო ქუმსიშვილი არ აკეთებს. სავალალო ისაა, რომ ეს ხდება ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე.

***– რას გულისხმობთ?***

– მარტო აქაურების გაღატაკებაზე არ ვსაუბრობ. უამრავი ჩვენი თანამემამულე უმძიმესი და შეუფერებელი სამუშაოს შესასრულებლად წასულია უცხოეთში. მამასისხლად ნაშოვნ და გამოგზავნილ ფულს მათ ისინი ეცილებიან, ვის ხელშიცაა ახლა საქართველო.



***– საქართველო მეორე ადგილზეა პოსტსაბჭოთა სივრცეში სოციალური უთანასწორობის მხრივ. დეპუტატებისა და მაღალჩინოსნებისთვის ხელფასების კიდევ მატება, რასაც რეფორმა დაარქვეს, ამ კონტრასტს უფრო გაზრდის?***

– მაკვირვებს ჩვენი მოსახლეობის მონური მოთმინება. როგორ შეიძლება, ამდენი უსინდისობა შეარჩინო ხელისუფლებას? აღარ იციან, როგორ გაძარცვონ მოქალაქეები, მათზე დაზოგონ ბიუჯეტი, თვითონ კი ნეტარებენ. პრემია-დანამატები იმ რაოდენობით აიღეს, რომ ცუდად ხვდებოდა ყურს. ამიტომ, პრემია-დანამატს დაარქვეს ჯილდო. იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხალხს ატყუებენ, ჯილდო კი არა, სასჯელი ეკუთვნით.

***– ხალხის მოტყუება პოლიტიკოსებისათვის ნორმაა.***

– ამიტომ, აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში მუხლის შეტანა, რომელიც პასუხს აგებინებს სიყალბისათვის.

***– უპირო და მატყუარა დეპუტატების გამოწვევის ინიციატივა მომისმენია. თქვენ დასჯას მოითხოვთ.***

– როცა პოლიტიკოსი ადამიანებს ატყუებს, ესაა თაღლითობა. თაღლითობა დასჯადია. ამაზე საზოგადოებასთან მისაუბრია და ვიცი, რომ ადამიანები ასეთ ინიციატივას მიესალმებიან. თუ ეს მექანიზმი ამოქმედდება, პოლიტიკური ველი გაიწმინდება. 25 წელიწადზე მეტია, სულ ერთი და იგივე ცრუპენტელა პოლიტიკოსები ტრიალებენ ერთ წრეზე. ახალ, ჯანსაღ, გაუსვრელ ძალებს პოლიტიკასთან არ გვიშვებენ. საზოგადოებაც ცოტა უნდა გამოფხიზლდეს და იმას მაინც არ დაემონოს, ვინც რამდენჯერმე გააცურა. ხალხი უნდა გააქტიურდეს, თორემ თუ საზოგადოებრივი პრესინგი არ იგრძნო, მდიდარი მმართველი ელიტა სულ უფრო მეტ მარწუხს მოუჭერს გაღატაკებულ ადამიანებს.

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ ნაციონალების გზას დაადგა“

## „ამ ხელისუფლებას მოძალადე პოლიციელების და სპეცრაზმელების დაუსჯელობა გადაიყოლებს“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომებს იმეორებს ხელისუფლება, როდემდე ეყოფა ხალხს მოთმინება, რა შედეგი მოაქვს ერთიანობას, რატომ არ სთხოვენ პასუხს მოძალადეებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

***– როდესაც ვინმე „ოცნებას“ აკრიტიკებდა, მისი მომხრეები ოპონენტებს ასე აჩუმებდნენ – ნაციონალებივით ქუჩაში ხალხს მაინც არ ხოცავენო. ნაციონალებივით მართლა არ ხოცავენ ხალხს ქუჩაში, მაგრამ რამდენიმე სამწუხარო ფაქტი უკვე გვაქვს. თქვენ წლების მანძილზე იბრძოდით ნაციონალების წინააღმდეგ, „ქართული ოცნება“ მათ გზას ხომ არ დაადგა?***

– სამწუხაროდ, ყველა ნიშანი არსებობს ისეთი დასკვნის გასაკეთებლად, რომ „ოცნება“ წინამორბედის გზას დაადგა. გამოუძიებელი დანაშაული, დაუსჯელი დამნაშავეები გამოიწვევს იმას, რომ პოლიციური ძალადობა გაგრძელდება. ძალადობის ფაქტებს რაოდენობრივად იმ მასშტაბებისთვის არ მიუღწევია, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, იმ რაოდენობასაც მიაღწევს. ხალხმა ეს ყველაფერი თუ შეარჩინა ხელისუფლებას, „ოცნება“ საბოლოოდ დაემსგავსება იმ რეჟიმს, რომელიც ყველას ძალიან მძიმედ გვახსოვს.

ძალადობისკენ ამათაც აქვთ მიდრეკილება, წინამორბედებისგან განსხვავებით, უფრო გონიერები არიან და თავს იშტერებენ. ივანიშვილი სააკაშვილზე უფრო ჭკვიანია, პოლიცია მასაც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სჭირდება, მაგრამ ცდილობს, რომ მასობრივ ძალადობას არ ჰქონდეს ადგილი.

***– მასობრივ ძალადობაზე რატომ ამბობს უარს?***

– იცის, ძალადობა საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს. მას არ უნდა, რომ ბოროტ მმართველად წარმოჩინდეს, არც კეთილი არ არის, უბრალოდ, სააკაშვილზე უფრო გონიერია.

ივანიშვილმა რაც არ უნდა შეაკავოს ეს ძალადობა, დამნაშავეები თუ არ დაისაჯნენ, ასეთი ფაქტები გახშირდება. ძალადობის ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი საზოგადოების აქტიურობაც იქნება. ხალხი თუ შეარჩენს, ძალადობა გაგრძელდება და იმ მასშტაბებს მიაღწევს, რაც ნაციონალების დროს იყო.

მოდით, ისიც ვთქვათ, რატომ ძალადობენ პოლიციელები. მათ დაინახეს, რომ ამის გამო არავინ დასაჯეს. ყველას გვახსოვს, როგორი ლოზუნგებით მოვიდა ეს ხელისუფლება, მაგრამ არც ერთი გახმაურებული მკვლელობა არ გამოიძიეს. ძალიან ბევრი საქმე აღიძრა, ვილაცები დაკითხეს, მაგრამ არც ერთი საქმე არ დამთავრებულა დამნაშავეების დაპატიმრებით.

პატიმრობას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ეს არის ადეკვატური სასჯელი. როცა ძალადობისა და გადაცდომისთვის რამდენიმე ჩინოსანი თუ პოლიციელი ციხეში წავიდოდა, დანარჩენები დაფიქრდებოდნენ და თავიანთ ქმედებებს გააკონტროლებდნენ.

„ოცნებამ“, გარდა იმისა, რომ წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულებებისთვის არავინ დასაჯა, სპეცსამსახურების სახით თავისი გურამ დონაძეც შექმნეს – ისინი იგივე მეთოდებით ცდილობენ დანაშაულის თუ შეცდომების გადაფარვას.

ამის ნათელი მაგალითი იყო ნუცუბიძის პლატოზე მომხდარი ტრაგედია, რომლის დროსაც ახალგაზრდა კაცი პაატა პავლიაშვილი დაიღუპა. მე არ ვამბობ, რომ ის პოლიციის ქმედებების შედეგად გარდაიცვალა, ის ცუდად იყო, სათანადო სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს, ფაქტიურად შემოაკვდათ. იმის ნაცვლად, რომ გადაცდომაზე ესაუბრათ, თავის გასამართლებლად რაღაცების მოგონება დაიწყეს.



***– რამდენიმე დღის წინ გვითხრეს, რომ ამ საქმის გამოძიება საერთოდ შეწყდა.***

– ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება საკუთარ, მსახურ პოლიციას გადაეფარა. ამ პოლიციაში, სამწუხაროდ, ისევ ის ხალხი მუშაობს, რომლებიც სააკაშვილის დროს მუშაობდნენ.

ყველას შეცვლა შეუძლებელია და იქ ბევრი პროფესიონალი მუშაობს. საგანგაშო ისაა, რომ ის ხალხი არ შეიცვალა, ვინც კონკრეტულ ძალადობასა თუ მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი.

საზოგადოებას მინდა გავახსენო ვინმე ხარაზიშვილი, რომელიც კობა ოთანაძის და გია კრიალაშვილის წინააღმდეგ ოპერაციისას



ფიგურირებდა. იმ ოპერაციისას გია კრიალაშვილი დაიღუპა. კობა ოთანაძე შემთხვევით არის გადარჩენილი, მას რამდენიმე ტყვია მოხვდა. პოლკოვნიკი ოთანაძე ხელს პირდაპირ ადებდა ხარაზიშვილს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის არავის დაუსჯია. ის დააწინაურეს, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ის სუსის სპეცრაზმის უფროსია.

აქედან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ პოლიცია ისევ ძალადობს. ხელისუფლება შეეცდება, ეს პროცესი რამენაირად გააკონტროლოს, მაგრამ დამნაშავეები თუ არ დაისაჯნენ, პროცესის გაკონტროლება იქნება შეუძლებელი.

***– დღეს არსებული ძალადობა საზოგადოების ბრალი ხომ არ არის? ძალიან პასიურები გავხდით და არაფერზე აღარ ვრეაგირებთ.***

– საზოგადოების უდიდესი ნაწილი ლეთარგიულ ძილშია. შესაბამისად, ვერ ხედავენ იმას, რაც ქვეყანაში ხდება. საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ამ ყველაფერზე არ რეაგირებს, ძალადობის თანამონაწილე გამოდის.

ჩვენი დუმილით და უმოქმედობით, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების სიცოცხლეს და უსაფრთხოებას რისკის ქვეშ ვაგდებთ. კაცმა არ იცის, ხვალ და ზეგ ვის დააბრალებენ ტერორისტობას ან ტერორიზმის მხარდაჭერას.

აქ არც სასამართლოს იმედი უნდა გვქონდეს. თემიდა გირგვლიანის მოსამართლეების – მურუსიძის და ჩემიას – ხელში დარჩა. ყველაზე უარესი ისაა, რომ პოლიციელებს ფაქტიურად ლინჩის წესით გასამართლების უფლება აქვთ მინიჭებული.

ხელისუფლება ცდილობს, ასეთი ფაქტები ხშირად არ მოხდეს, მაგრამ როცა ხდება, მთელი „ოცნება“ ზედ ეფარება დამნაშავე პოლიციელებს. ჩვენ, საზოგადოება, თუ არ გავაქტიურდებით, ასეთი ფაქტები უფრო მასობრივი გახდება.

ძალადობის აღკვეთის ყველაზე კარგი საშუალება სამართლიანი გამოძიებაა. პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზეც დაიწყო გამოძიება, მაგრამ სიმართლის დადგენის იმედი არავის აქვს. საზოგადოებამ იცის, რომ დამნაშავე პოლიციელებს არ სჯიან.

არ ვიცი, რა იქნება პანკისთან დაკავშირებით, მაგრამ ხელისუფლებას კარგად უნდა ახსოვდეს ერთი რამე – ნაციონალური მოძრაობა ასეთ გახმაურებულ მკვლელობებს გადაყვა. ჩვენი საზოგადოება შეიძლება დუმს, მაგრამ ასეთ მკვლელობებს მაინც არ პატიობს.

***– ელის თუ არა იგივე ბედი „ოცნებას“?***

– თუ არაფერს გამოასწორებს, ნაციონალების ბედს გაიზიარებს. ახლა ყველანი დიდი ინტერესით ველოდებით პანკისის ამბის გამოძიებას. იმედი მაქვს, რომ მაჩალიკაშვილის შემთხვევაში მხოლოდ გადაცდომა იყო და არა დაკვეთა. ხელისუფლება ამ სპეცრაზმელს არ უნდა გადაეფაროს და არც იმ ადამიანს, ვინც ამ სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა.

„ოცნების“ გასაგონად ვიმეორებ, ასეთმა ხელის დაფარებებმა მიიყვანა წინა ხელისუფლება სრულ კრახამდე.

***– ამაზე თავად არ უფიქრიათ?***

– ვერ გეტყვით. შესაძლოა, ფიქრობენ, რომ მთავარია ბევრი ფული იშოვონ და მომდევნო ხელისუფლება მათ ძველ ცოდვებს აღარ გაახსენებს. თავად ნაციონალებთან მიმართებაში ასე მოიქცნენ.

***– ლაშა, თქვენ პანკისი ახსენეთ და რა ვითარებაა იქ? წინა კვირას ბუტა რობაქიძის მამასთან ერთად იყავით მაჩალიკაშვილის დაკრძალვაზე ხეობაში, რას ამბობენ იქაურები?***

– პანკისში, სამძიმრის სათქმელად, ბუტას მამასთან ერთად ჩავედი. ბუტა რობაქიძეც 19 წლის იყო და ისიც სპეცოპერაციისას მოკლეს. სხვათა შორის, არც ბუტას მკვლელი არ არის დასჯილი.

იქაური მოსახლეობა სპეცოპერაციით ძალიან შეწუხებულია. 19 წლის ახალგაზრდის დაღუპვას ყველა ძალიან განიცდის. მე ვესაუბრე ადგილობრივებს, ისინი ამ მძიმე დროსაც კი სახელმწიფოებრივად აზროვნებენ. ყველა ამბობს, რომ ელოდებიან გამოძიების დასრულებას. მათ იმედი აქვთ, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს.

იმედია, ხელისუფლება ხვდება, რომ პანკისში სიტუაციის გამწვავება არ შეიძლება. თანაც ეს ხალხი მხოლოდ სიმართლის დადგენას ითხოვს.

***– დღეს ბევრი საუბარი მიდის იმაზე, რომ პანკისში ტერორიზმის მხარდამჭერები იყვნენ. ამ თემაზე პანკისელები დიდი ხანია, რაც საუბრობენ. რამდენიმე წლის წინ დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ მათთან რადიკალური ისლამის მიმდევრები არიან და ისინი ახალგაზრდების გადაბირებას ახდენენ. უხუცესებმა არაერთხელ სთხოვეს ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება. მაშინ რატომ არაფერი იღონა ხელისუფლებამ?***

– ამაზე ხელისუფლებამ უნდა გაგვცეს პასუხი. ფაქტი ისაა, რომ მათ არაფერი გააკეთეს. შედეგად ვილაცებმა შეძლეს ახალგაზრდებისთვის ტვინის არევა და მათი სირიაში წაყვანა. გაჭირვებული ადამიანისთვის ტვინის არევა უფრო ადვილია. პანკისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ხალხს ძალიან უჭირს.

მონდომების შემთხვევაში ხელისუფლება ამ პრობლემას მოაგვარებდა. უამრავი პროექტის განხორციელება შეიძლებოდა იქ. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარება შეიძლებოდა.

ხელისუფლებას რომ ჰკითხო, ყველაფერს აკეთებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. დიდი ზარზეიმით მიიღეს მთის კანონიც. გვიმტკიცებენ, რომ ამ კანონით შეძლებენ მთაში მოსახლეობის დამაგრებას. სინამდვილეში კი მთას ცლიან. გიგანტური ჰესებით და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით არის სავსე ხევი. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები სოფლებზე გაივლის. ამ სოფლებში ხალხი აღარ გაჩერდება.

ხალხის ერთიანობა რომ ყოფილიყო, ყაზბეგსა და სნოში მაღალი ძაბვის ხაზები არ გაივლიდა. ასე ერთიანობამ გადაარჩინა ფასანაურში 12 სოფელი. იქ ხალხი ერთად დადგა და კალაძე-ივანიშვილი ვერაფერს გახდა.

სხვა სფეროებშიც ეგრეა, სადაც ერთობაა, იქ ხელისუფლება ვერაფერს გახდება.

---

## ერთადერთი ქართველი პარლამენტარი, რომელმაც დეკლარაციაში ბიტკოინის ფლობა მიუთითა



პარლამენტის წევრი ირმა ნადირაშვილი ერთადერთია, რომელმაც დეკლარაციაში 15 ბიტკოინისა და სხვა კრიპტოვალუტების ფლობის შესახებ შესაბამისი მონაცემები ქონებრივ დეკლარაციაში შეიტანა.

ნადირაშვილმა განმარტა, რომ კანონი ასეთ ვალდებულებას არ ითვალისწინებს, დეკლარაციაში ელექტრონული ფულის მითითება კი მისი პირადი სურვილი იყო.

ფლობს თუ არა პარლამენტის სხვა წევრი რომელიმე კრიპტოვალუტას, ჯერჯერობით უცნობია, რადგან დეკლარაციაში ელექტრონული ფულის მითითებას კანონი არ ითვალისწინებს.

დღეის მონაცემებით, 1 ბიტკოინის ფასი 13,700 დოლარს შეადგენს, შესაბამისად, დღევანდელი ფასით, 15 ბიტკოინის ჯამური ღირებულება 205 500 დოლარი გამოდის.

შეგახსენებთ, რომ სამმა უკრაინელმა დეპუტატმა შარშან, ქონებრივ დეკლარაციებში ბიტკოინები მიუთითა, რომელთა ღირებულება იმ დროისთვის 50 მილიონ დოლარზე მეტი იყო.

## დეკემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 138.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა



2017 წლის დეკემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 138.4 მლნ აშშ დოლარი, 361.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16.3 პროცენტით (19.4 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2016 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს.

ბანკის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.4 პროცენტი იმ 14 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ დეკემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 14 ქვეყანაზე გასული წლის დეკემბერში მთელი ფულადი გზავნილების ასევე 92.4 პროცენტი მოდიოდა.

მათივე ინფორმაციით, 2017 წლის დეკემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 19.8 მლნ აშშ დოლარი (51.8 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 18.2 მლნ აშშ დოლარისა (48.3 მლნ ლარისა) გასული წლის დეკემბერში.

# სად უნდა იყოს თბილისის რკინიგზა? დავა მერიასა და გენგეგმის ჯგუფს შორის

შენიშვნათა ნაწილი, რომელიც თბილისის მერიას დედაქალაქის გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფთან აქვს, შემოვლითი რკინიგზის პროექტს ეხება. არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე 15 იანვარს გამოქვეყნებულ შენიშვნების ჩამონათვალში ნათქვამია, რომ „სითი ინსტიტუტს" მიერ ქალაქის რკინიგზის სამგზავრო ხაზის გაუქმების და მისი გადატანის დადებითი შეფასება შესაბამის კვლევას არ ეფუძნება.

თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმის უკანასკნელი ვარიანტის შეფასების ავტორები აღნიშნავენ, რომ „სითი ინსტიტუტმა არ გაითვალისწინა მუნიციპალიტეტის არაერთი მოთხოვნა, რკინიგზის დერეფნის საკითხი გეგმაში კვლევის ჩატარებამდე ღიად დარჩენილიყო.

– რკინიგზის სამგზავრო მონაკვეთის (დიდუბე-სამგორი) გაუქმების გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის საკითხისათვის საჭირო კვლევები არ არის ჩატარებული. მოყვანილი არგუმენტები არის ცალმხრივი – რკინიგზის არსებობის მხოლოდ უარყოფითი მხარეები და გადატანის დადებითი მხარეები.

ამასთან ცენტრალური სადგური, რომელიც არის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი საერთოდ არ არის ნახსენები და მისი გაუქმების სატრანსპორტო შედეგები არ არის შეფასებული, – აღნიშნავს მერია.

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი პრეტენზია „სითი ინსტიტუტის" მიმართ, შემოვლითი რკინიგზის ამოქმედების ინიციატივას უკავშირდება, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ იდეა დღეს არსებულ მოთხოვნებს არ პასუხობს:

– 2009 მგგ-ს (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის) ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება რკინიგზის გადატანასთან დაკავშირებით რამდენჯერმე მეორდება მგგ-ს ჯგუფის პასუხში, როგორც რკინიგზის სამგზავრო ხაზის გაუქმების საფუძველი. 2009 წლის მგგ შექმნილია სხვა პოლიტიკური რეალობის პირობებში, არის მოძველებული და არასრულფასოვანი. ამიტომ წარმოიშვა ახალი მგგ-ს შექმნის აუცილებლობა.

2009 წლის მგგ-შიც შესაბამისი კვლევით არ არის დასაბუთებული რკინიგზის გადატანის საკითხი.



გენერალური გეგმის სამუშაო ვერსიაში „სითი ინსტიტუტი" რკინიგზის გადატანის საჭიროებას რამდენიმე მიზეზით ხსნის. მათ შორისაა: ქალაქის ცენტრალური და დასახლებული ნაწილებიდან ჯანმრთელობისათვის საშიში და სახიფათო ტვირთების მოძრაობის არიდება; სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიერ ქალაქის გაყოფილი ნაწილების ინტეგრირების ხელშეწყობა; ქალაქის რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობისგან განტვირთვა; მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სამანქანო მოძრაობის დატვირთვის შემცირება და სხვ.

გენგეგმის სამუშაო ვერსიაში ასევე ხაზგასმულია, რომ „სითი ინსტიტუტის" თავდაპირველ მიზანს ქალაქის მთელ სიგრძეზე სარკინიგზო ხაზის შენარჩუნება წარმოადგენდა, თუმცა ეს თავად რკინიგზის კომპანიამ არ ისურვა.

– რკინიგზის კომპანიამ განაცხადა, რომ არ არის დაინტერესებული მოცემული გადაზიდვების დამოუკიდებელი სახით შენარჩუნებით, რადგან ეს აუცილებელს გახდიდა ორი დამოუკიდებელი მონაკვეთის ოპერირების უზრუნველყოფას და გაზრდიდა ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს, – აღნიშნავენ გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები.

გენგეგმის ჯგუფი ასევე ფიქრობდა, რომ ხაზის გაუქმების შემთხვევაში, სადგურის მოედანზე გამოთავისუფლებული ტერიტორიის 15-20% სატრანსპორტო საჭიროებებით უნდა ათვისებულიყო, 60-70% – სარეკრეაციო კუთხით, ხოლო დარჩენილი 10-25%– სხვა მიმართულებებით.

# „ქართულმა თხილმა ევროკავშირის ბაზარზე პოზიციები დაკარგა"

2017 წელი ქართული თხილისთვის წამგებიანი აღმოჩნდა. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი დაახლოებით ერთი თვის წინ აღნიშნავდა, თხილის ექსპორტში 80 მილიონი დოლარის კლება დაფიქსირიდა.

თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ალექსანდრე მოწერელია „კომერსანტთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ მთავარი პრობლემა, რის გამოც ქართული თხილის ხარისხი დაბალია და მოსავლის ნახევარი ნადგურდება, აზიური ფაროსანას და კლიმატური პირობების გარდა, არის ბაქტერიოზი. მისი თქმით, აღნიშნული დაავადება ნარგავების მოუვლელობის გამო გაჩნდა.

– მოსავალი დაახლოებით 50%-ით არის შემცირებული, ნახევარი განადგურდა. პრობლემები არის უფრო კომპლექსური, ვიდრე აზიური ფაროსანა. ჩვენთან პლანტაციები არის მოუვლელი. როცა თხილი ერთეული ნარგავების სახით და მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი, პრობლემები არ გვქონდა. მას შემდეგ, რაც მცენარეების კონცენტრაციამ იმატა, მათი მოშენება და აგროწესების დაცვა სწორად არ ხდება. ამიტომაც იჩინა თავი ყველა დაავადებამ, – აღნიშნავს მოწერელია.

მისი განმარტებით, აზიური ფაროსანას მასიურად გავრცელების მიზეზი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოუვლელობაც არის.

– ფაროსანა იმიტომ არის მოდებული, რომ მას ნოყიერი ნიადაგი აქვს შექმნილი, რაც ისევ და ისევ მოუვლელობიდან გამომდინარეობს. თხილის ნარგავების მოვლა-პატრონობა არ არის რთული, რომ მწარმოებელმა ეს ვერ შეძლოს. ბაქტერიოზის წინააღმდეგ ბრძოლა ძვირადღირებულ ღონისძიებას არ გულისხმობს და მარტივად შეიძლება ამის გაკეთება. სპეციალური ხსნარით ნარგავები დროულად უნდა დამუშავდეს, გაისხლას და ა.შ., – აცხადებს ალექსანდრე მოწერელია.



მისივე თქმით, დაბალი ხარისხის გამო, ქართული თხილი ევროკავშირის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებში ვერ ჯდება.

– ქართულმა თხილმა ევროკავშირის ბაზარზე პოზიციები მნიშვნელოვნად დაკარგა. საერთაშორისო სტანდარტებში ვერ ჯდება. ამ პოზიციის დაბრუნებას დრო და გარკვეული ნაბიჯები დასჭირდება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას. მართალია, გასულ წელს სექტემბრიდან დეკემბრამდე ექსპორტზე 7500 ტონა თხილის გული გავიდა, მათ შორის რუსეთში, აზიის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ხარისხის მოთხოვნები უფრო დაბალია. თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ბაზარი, რომელიც მეტად სტაბილური და მიმზიდველია. შესაბამისად, ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ, – აცხადებს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ამასთან, მისი თქმით, თხილის ექსპორტიორებისთვის HACCP-ის სისტემის დანერგვა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა:

– აღნიშნული სტანდარტი ხარისხის გაუმჯობესების პროცესებს ხელს შეუწყობს. ასევე, ბიზნესსაც მოაწესრიგებს. თუ სასურველ შედეგს მივაღწევთ, რამდენიმე წელში პრემიუმ კლასში გადავინაცვლებთ. გარდა ამისა, თხილის ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები უნდა გატარდეს, რამაც რამდენიმე წელში შედეგი უნდა მოგვცეს. შედეგად, ექსპორტიორებს, სახელმწიფოს, ფერმერებს მეტი შემოსავალი ექნებათ, – აღნიშნავს მოწერელია.

რაც შეეხება მოლოდინებს, მისი განცხადებით, 2018 წელს თხილის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას არ უნდა ველოდოთ, თუმცა შესაძლებელია ხარისხის მომატება:

– ფაროსანას პრობლემა ხვალ რომ გადაწყდეს, ქართული თხილის ხარისხი მაინც არ შეიცვლება. ზარალს შეამცირებს, მაგრამ არა მნიშვნელოვნად. წელს მაინც თუ მოუვლიან ნარგავებს და დროულად დაამუშავებენ, ამ შემთხვევაში მომავალ წელს გაცილებით ნაკლებ ზარალს მივიღებთ. ყველა პრობლემა კი ერთიანად ვერ აღმოიფხვრება, – აცხადებს ალექსანდრე მოწერელია.

შეგახსენებთ, რომ თხილის ექსპორტიორებისთვის HACCP-ის სისტემის დანერგვა სავალდებულო გახდა. ბიზნესოპერატორი, რომელიც ექსპორტისთვის განკუთვნილი გადამუშავებული თხილის გულის დამზადებას ახორციელებს, ვალდებულია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა დანერგოს.

აღნიშნული ცვლილება თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტში 2017 წლის ივნისში შევიდა და 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

## „მივიღე მტკივნეული გაკვეთილი — დისტანცია უნდა დავიჭირო იმ ქვეყნების შიდა პოლიტიკისგან, სადაც ჩემი ფონდი ოპერირებს"

ჯორჯ სოროსის განცხადებით, იგი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ აპირებს – იდეოლოგიის, რომელსაც იგი „დომინანტს" უწოდებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მილიარდერმა ინვესტორმა Financial Times-თან ისაუბრა. საუბარი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსაც შეეხო.

– დეჟა ვუ მაქვს – მსოფლიოში დომინანტი იდეოლოგია კვლავ ნაციონალიზმია. ევროკავშირი დაშლის პირას არის, რუსეთი კი ძალას იკრებს – ქვეყანა, რომელიც ნაციონალიზმზეა დაფუძნებული, – განაცხადა მან.

უკანასკნელ პერიოდში სოროსი არაერთი ინფორმაციული თავდასხმის ობიექტი გახდა. მისი აზრით, აღნიშნული თავდასხმების უკან რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი დგას. მისი აზრით, პუტინის ანტიპათიის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სოროსი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" პერიოდში მიხეილ სააკაშვილს მხარს უჭერდა.




სოროსი აღიარებს, რომ იგი ყოველთვის სწორ არჩევანს არ აკეთებდა.

– სააკაშვილი ღია საზოგადოების ღირებულებების ერთგული არ აღმოჩნდა – იმ ღირებულებების, რომლებსაც იგი ოპოზიციაში ყოფნის დროს ატარებდა. მე მივიღე მტკივნეული გაკვეთილი – დისტანცია უნდა დავიჭირო იმ ქვეყნების შიდა პოლიტიკისგან, სადაც ჩემი ფონდი ოპერირებს, – განაცხადა სოროსმა.

ჯორჯ სოროსის ორგანიზაცია „ღია საზოგადოება" მსოფლიოს 140 ქვეყანაში ოპერირებს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაციის მთავარ მიზანს „ტოლერანტული დემოკრატიის შენება" წარმოადგენს. ფონდი 1979 წელს დაარსდა და მას შემდეგ ჯორჯ სოროსს, ფონდის დასაფინანსებლად, $14 მილიარდი აქვს გაცემული.

ჯორჯ სოროსი დაახლოებით $25 მილიარდს ფლობს. მას უწოდებენ ადამიანს, „რომელმაც ინგლისის ბანკი გატეხა." 1992 წლის სექტემბერში გირვანქა სტერლინგის წინააღმდეგ სპეკულაცია ჩაატარა, რის შედეგადაც მან $1-1.5 მილიარდამდე გამოიმუშავა.

## „პირველები ვიქნებით, ვინც ბოსტნეულის ჩირს ექსპორტზე გაიტანს"

ქართული ჩირის კომპანია „ჩირჩხელას" ინოვაციური იდეა აქვს და გაზაფხულიდან წვნიანის მოსამზადებელი ბოსტნეულის ჩირს ექსპორტზე გაიტანს.

როგორც „კომერსანტს" კომპანიის დამფუძნებელმა გური სალუქვაძემ განუცხადა, ბოსტნეულის ჩირი ქართულ ბაზარზე საცდელად უკვე გამოიტანეს.

– ბოსტნეულის ჩირის პოპულარიზაცია დაწყებული გვაქვს. ნიმუშები ქართულ ბაზარზე უკვე გავუშვით. გვინდა ვიყოთ პირველები, ვინც ბოსტნეულის ჩირს ექსპორტზე გაიტანს. გარკვეული შეფუთვები გვექნება. ეს იქნება ერთგვარი ბოსტნეულის წვნიანის ჩირი. მაგალითად, ბორშჩის მასალა ჩირის სახით შეიფუთება, შესაბამისი დოზირების ინგრედიენტებით – ხახვი, კომბოსტო, ნიორი, ჭარხალი და ა.შ. პირველად ბორშჩის ასორტიმენტით გავალთ, შემდეგ სხვა წვნიანით. ამ ინოვაციით პირველ რიგში პოპულარიზაციას გავუწევთ ჯანსაღ პროდუქციას, – აღნიშნა სალუქვაძემ.

მისივე თქმით, ექსპორტზე გატანამდე, რამდენიმე თვეში კომპანია საკუთარი საწარმოს გახსნას გეგმავს და ბოსტნეულის ჩირის და ჩურჩხელის წარმოებას ფართო მასშტაბით დაიწყებს.

– საწარმოს გახსნის შემდეგ, გაზაფხულიდან, ანუ ხილის მოსავლის სეზონზე, ექსპორტზეც გავალთ. გვინდა, რომ ევროკავშირის სტანდარტები დავიცვათ. ამის გარეშე ევროპის ქვეყნებში ვერ გავალთ. მაღალ ხარისხს ითხოვენ და სწორედ ასეთს გავიტანთ, – აცხადებს სალუქვაძე.

მისივე ინფორმაციით, სავარაუდო ინვესტიცია, რაც საწარმოს ამუშავებისთვის და შემდეგ უკვე ექსპორტზე გასვლის საწყის ეტაპზე განხორციელდება, ჯერ ცნობილი არ არის.

რაც შეეხება საექსპორტო ქვეყნებს, გური სალუქვაძის თქმით:

– სავარაუდო პარტნიორები მოძიებული გვყავს. მათთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს. პროდუქტის ნიმუშები გაგზავნილია და უკვე საბოლოო დასტურს ველოდებით. ქართული ჩირის ექსპორტით უკრაინა, ჩინეთი, რუსეთი, შვედეთი და ბალტიის ქვეყნები არიან დაინტერესებული, – აცხადებს სალუქვაძე.

მისივე ინფორმაციით, კომპანია უკვე გაფართოვდა და გასულ წლის ბოლოს მაღაზია-კაფე გახსნა:

– ამით ტურისტულ სფეროში გადავედით. მაღაზიაში გარდა ჩვენი პროდუქციისა, სხვადასხვა სახის ქართული ნაწარმი იყიდება და ადგილზე მირთმევაც არის შესაძლებელი. კაფე მთაწმინდაზე, ტურისტულ ადგილზე გავხსენით. გვინდა, რომ ეს ადგილი



ტურისტებისთვის ერთგვარი შესვენების ადგილი გახდეს, – აღნიშნავს კომპანიის დამფუძნებელი.

რაც შეეხება კონკურენციის საკითხს, გური სალუქვაძის თქმით, კონკურენტი კომპანიები ერთმანეთს ეხმარებიან:

– კონკურენცია არის, მაგრამ ჯანსაღი. მახარებს ის, როდესაც სხვა მწარმოებლები თავის საქმეს ხარისხიანად აკეთებენ. კონკურენტი კომპანიები ერთმანეთს ვეხმარებით, რადგან ჩვენს ქვეყანას ვუწევთ პოპულარიზაციას. ერთი რომ ხარისხიანს გაიტანს ექსპორტზე და მოეწონებათ, შესაბამისად, სხვასაც მარტივად მიიღებენ, – აცხადებს გური სალუქვაძე.

ქართული ჩირი „ჩირჩხელა" ბაზარზე 2016 წლის ოქტომბერში გამოჩნდა. კომპანია დაახლოებით 25 სახეობის ჩირს ქართული ხილისა და ბოსტნეულისგან ამზადებს.

# „ბაკურიანში წყლის მიწოდებაზე გრაფიკი დაწესებული არ არის“

ზამთრის ტურისტული სეზონის პიკზე კურორტი ბაკურიანი უწყლოდ დარჩა. როგორც სოციალურ ქსელში დამსვენებლები წერენ, ბოლო რამდენიმე დღეა ბაკურიანს წყალი გრაფიკით მიეწოდება, რის გამოც დამსვენებლების ნაწილმა, მათ შორის უცხოელებმა, კურორტი უკვე დატოვეს.



— რამდენიმე დღეა ბაკურიანში ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობ. წყალი სასტუმროში ტურისტულ სეზონზე გრაფიკით მოდის. სასტუმროში ზუსტ პასუხს, თუ რატომ მოდის წყალი გრაფიკით, ვერ გვეუბნებიან. შარშანაც იყო პრობლემა, თუმცა მერე თქვეს, რომ მთავრობამ ეს პრობლემა მოაგვარა და წლევანდელ წელს დამსვენებლებს უწყლოობა დისკომფორტს არ შეუქმნიდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ პრობლემა ისევ არსებობს, — წერს ერთ-ერთი დამსვენებელი სოციალურ ქსელში. ანალოგიურს საუბრობენ სხვა დამსვენებლებიც.

წყლის მიწოდების შეწყვეტაზე საუბრობს გაერთიანებული წყალმომარაგების ტექნიკური აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი მიხეილ თათარაძე. როგორც მან „კომერსანტს“ განუცხადა, ამის მიზეზი ტექნიკური პრობლემები გახდა.

— რამდენჯერმე იყო შეფერხება და ბაკურიანს წყლის მიწოდება შეუწყდა. მიზეზი იყო გარკვეული ტექნიკური პრობლემები. რის შედეგადაც გადაუდებელი სამუშაოები ჩატარდა. პრობლემები უკვე აღმოიფხვრა. სეზონის განმავლობაში გეგმური სამუშაოების შესრულებისგან თავს ვიკავებთ. ამ შემთხვევაში ეს იყო გადაუდებელი და არა გეგმური სამუშაოები, — აღნიშნავს თათარაძე.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ბაკურიანს წყალი გრაფიკით არ მიწოდება:

— ბაკურიანში წყლის გრაფიკული მიწოდება არ არის. ამჟამად ბაკურიანში 24-საათიანი წყალმომარაგება ხორციელდება და პრობლემები აღარ არის. პარალელურად, წყლის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც სათავე ნაგებობაზე და საფილტრე სადგურში სასმელი წყლის დებიტის გაზრდას გულისხმობს. ეს არის პირველი ეტაპი, მეორე ეტაპი კი წყალმომარაგების ქსელის განვითარება იქნება. გარდა იმისა, რომ პროექტი ბაკურიანის განვითარებისთვის კეთდება, გადაუდებელი აუცილებლობითაც არის განპირობებული, — აცხადებს მიხეილ თათარაძე.

ამასთან, მისივე ინფორმაციით, პროექტის პირველ ეტაპზე 3 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

— პროექტი დაახლოებით 2 მილიონი 978 ათასი ლარის ღირებულების არის. პირველი ეტაპი თებერვალში დასრულდება. სატუმბო სადგურები და მაგისტრალური მიმწოდებელი ქსელი მოწესრიგდება. პროექტს გაერთიანებული წყალმომარაგების დაკვეთით სამშენებლო კომპანია „გროსტ ინვესტ კაპიტალი“ ახორციელებს, — აღნიშნავს მიხეილ თათარაძე.

რაც შეეხება პროექტის მეორე ეტაპს, მისი ინფორმაციით: „წლის მეორე კვარტალში პროექტის მეორე ეტაპი დაიწყება. მოხდება 2000-კუბიანი რეზერვუარის, სატუმბი სადგურის და მაგისტრალის მშენებლობა. წინასწარ პროგნოზირება რთულია, მაგრამ, სავარაუდოდ, 2018 წლის ბოლოს დასრულდება, — აღნიშნავს გაერთიანებული წყალმომარაგების ტექნიკური აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

შეგახსენებთ, რომ კურორტი ბაკურიანი ტურისტული სეზონის პიკზე უწყლოდ გასულ წელსაც დარჩა. რის გამოც წყლის გრაფიკით მიწოდება ხდებოდა და დამსვენებლების ნაწილმა, მათ შორის უცხოელებმა, კურორტი დატოვეს.

# სემეკი ცალკეული პირებისათვის ინდივიდუალურ ტარიფებს არ ადგენს

ბოლო დღეების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს განხილვები კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სატარიფო საკითხებთან დაკავშირებით როგორც სხვადასხვა ექსპერტების, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან. ამჯერად, ცალკეული პირების მიერ სატარიფო საკითხებთან მიმართებაში აქცენტები გაკეთდა ელექტროენერგიის შეღავათიანი ტარიფების დადგენაზე კონკრეტული იურიდიული პირებისათვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) განმარტავს, რომ ტარიფები არ დგინდება ინდივიდუალურად, ცალკეული პირებისთვის და კომისია არ ადგენს შეღავათიან ტარიფებს რომელიმე იურიდიული პირისთვის. კომისია ტარიფებს ადგენს ძაბვის საფეხურების (მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვა) მიხედვით და იგი ერთიანია ძაბვის შესაბამისი საფეხურის ყველა მომხმარებლისათვის, მიუხედავად მათი საქმიანობის შინაარსისა.

სამომხმარებლო ტარიფი მოიცავს ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის და გამანაწილებელ ქსელამდე ელექტროენერგიის ტრანსპორტირების ფასს (ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ფასს) და ელექტროენერგიის განაწილების ტარიფს. გამანაწილებელი კომპანიებისათვის დადგენილ სამომხმარებლო ტარიფებს შორის განსხვავებას სწორედ ეს უკანასკნელი კომპონენტი განაპირობებს, ვინაიდან განსხვავებულია კომპანიების დანახარჯები ძაბვის თითოეული საფეხურისათვის. მაგალითად, სს „თელასის“ ენერგეტიკული აქტივების ღირებულება 2017 წლის ბოლოსათვის მაღალ ძაბვაზე შეადგენს 12,4 მლნ. ლარს, მაშინ როდესაც, დაბალ ძაბვაზე პირდაპირ მიკუთვნებული ენერგეტიკული აქტივების ღირებულება 107,9 მლნ. ლარია. ანალოგიურად, საპროგნოზო საოპერაციო დანახარჯები მომდევნო სამი წლისათვის მაღალ ძაბვაზე საშუალოდ წლიურად შეადგენს 0,3 მლნ ლარს, ხოლო დაბალ ძაბვაზე – 57,6 მლნ. ლარს. შესაბამისად, კომპანიის ჯამური დანახარჯების ყველაზე დიდი წილი (82%) სწორედ დაბალ ძაბვაზე მოდის, რომლიდანაც ელექტროენერგიას მოსახლეობა იღებს.




უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი განსხვავება განაწილების ტარიფებს შორის ფიქსირდება არა მხოლოდ 2017 წლის დეკემბერში კომისიის მიერ დადგენილ სამომხმარებლო ტარიფებში, არამედ ფიქსირდება 1997 წლიდან, როდესაც კომისიის მიერ პირველად დადგინდა ელექტროენერგიის ტარიფები.

რაც შეეხება მოხმარების ზრდას და მის გავლენას ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ფასზე, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ჯამური მოხმარება გაზრდილია საშუალოდ წლიურად 6,3%-ით, მათ შორის მაღალ ძაბვაზე – 12,6 %-ით, საშუალო ძაბვაზე – 9,1%-ით, ხოლო დაბალ ძაბვაზე (კომერციული სექტორი) – 8,3 %-ით.

აქვს თუ არა გავლენა მაღალ ძაბვაზე გაზრდილ მოხმარებას სამომხმარებლო ტარიფებზე, კომისია განმარტავს, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 30 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 მაისიდან მოხდება მაღალი ძაბვის მომხმარებლების სატარიფო რეგულირებიდან გაყვანა, შესაბამისად, ამ კატეგორიის მომხმარებლები ელექტროენერგიას შეისყიდიან არა განაწილების ლიცენზიატებისაგან (სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“), არამედ თავისუფალ ბაზარზე, დერეგულირებულ ფასად. შესაბამისად, კომისიის მიერ დადგენილ გრძელვადიან სამომხმარებლო ტარიფებში ამ საწარმოების მოხმარება და, შესაბამისად, მათთვის ელექტროენერგიის შესყიდვის დანახარჯები 2018 წლის 1 მაისიდან, 2021 წლის 1 იანვრამდე გათვალისწინებული არ არის.

კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, რომ უფრო დეტალური განმარტებისთვის შეხვდეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ან საზოგადოების მხრიდან სურვილის შემთხვევაში, მოაწყოს საჯარო დებატები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

## კახა კალაძე: „ბიუროკრატია უნდა დაირღვეს თბილისის მერიაში“



დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების უმთავრესი მიზანია, საქალაქო სამსახურები მათ სფეროში არა უბრალოდ ტექნიკური აღმასრულებლები, არამედ პოლიტიკის შემქმნელები და გამტარებლები იყვნენ.

როგორც კახა კალაძემ თბილისის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების პრეზენტაციაზე აღნიშნა, არსებითად გაძლიერდება კოორდინაცია სამსახურებს შორის, მერია კომპლექსურ და ყოველმხრივ გააზრებულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— ჩვენი ქალაქის სწორად განვითარებისთვის ამ რეფორმის გატარება არის ძალიან მნიშვნელოვანი. რა არის ზოგადად ამ ცვლილებების მიზანი, ეს არის მერიის სტრუქტურების შინაარსობრივი და სტრუქტურული რეფორმირება, მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ეფექტურად აღსრულება, ბიუროკრატიული პროცესების გამარტივება. ჩვენ უნდა ვიყოთ ორიენტირებული ადამიანებზე, ადამიანების კეთილდღეობაზე, სერვისებზე და ეს ყველაფერი უნდა იყოს გაადვილებული, შემცირებული. ჩვენ წინასაარჩევნოდ გავეცით დაპირება, რომ აუცილებლად დავიწყებდით ფართების დაკანონებას იმ ოჯახებისთვის, ვინც წლების განმავლობაში ცხოვრობდა გარკვეული მიზეზების, გარკვეული ბიუროკრატიების გამო, ვერ ახერხებდნენ საკუთარი ფართების დაკანონებას, სადაც შვილები, შვილიშვილები, თაობები გაზარდეს. ეს პროცესები დაწყებული გვაქვს. დაახლოებით 140 ოჯახს უკვე დაუკანონდა საცხოვრებელი ფართები, რამდენიმე დღის წინ მეტრომშენის დასახლებაში 46 ოჯახს გადაეცა მიწის ნაკვეთები, დაურეგისტრირდა. შესაბამისად, მთავარი მიზანი და ამოცანაა, თბილისის მოსახლეობა ბიუროკრატიის წინაშე არ დავტოვოთ მარტო. შესაბამისად, ბიუროკრატია უნდა დაირღვეს თბილისის მერიაში, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერიის მთავარი მიზანია, მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდეს.

## „ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობის ზრდამ საქართველოში საწვავის მოხმარება შეამცირა“

2017 წელს საწვავის იმპორტი და მოხმარება შემცირდა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ცნობით, 2017 წელს საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 1.095,8 ათასი ტონა, რაც 133,8 ათასი ტონით ანუ 10,9%-ით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით.



მათ შორის, 2017 წელს ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 532,6 ათასი ტონა (კლება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 43,6 ათასი ტონით), ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 563,2 ათასი ტონა (კლება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 90,2 ათასი ტონით) .

ბენზინის საწვავის კატეგორიების მიხედვით 2017 წელს საქართველოში იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარი მარკის ბენზინი – 386,7 ათასი ტონა ანუ 72,6%; A-95 პრემიუმი მარკის ბენზინი – 137,5 ათასი ტონა ანუ 25,8%, A-98 სუპერი მარკის ბენზინი – 8,4 ათასი ტონა ანუ 1,6%.

ქვეყნების მიხედვით 2017 წელს ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან – 305,7 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 27,9%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: რუსეთი – 223,6 ათასი ტონა (20,4%), აზერბაიჯანი – 197,6 ათასი ტონა (18,0%), ბულგარეთი – 154,7 ათასი ტონა (14,1%), თურქმენეთი – 149,0 ათასი ტონა (13,6%); საბერძნეთი – 51,7 ათასი ტონა (4,7%), უკრაინა – 5,2 ათასი ტონა (0,5%).

— მართალია, საწვავის იმპორტი შემცირებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმავე პროცენტული მაჩვენებლით შემცირდა საწვავის მოხმარება, ვინაიდან 2016 წლის დეკემბერში განხორციელდა საშუალოდ 70 ათასი ტონით მეტი პროდუქტის იმპორტი წინა წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, რომელიც მოხმარებაში გავიდა უკვე 2017 წლის პირველ თვეებში. აღნიშნული დაკავშირებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებასთან, რომელიც ეხებოდა საწვავზე აქციზის გადასახადის ზრდას. საწვავის მოხმარების შემცირება ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში სწრაფად იზრდება ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობა, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

## ილია ელოშვილი: „თბილისის გენგეგმასთან დაკავშირებით კომპრომისზე ვერ წავალთ, დოკუმენტი უნდა იყოს სრულყოფილი“

თბილისის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით კომპრომისზე ვერ წავალთ, დოკუმენტი უნდა იყოს სრულყოფილი, — ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა განაცხადა.



მისივე თქმით, გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს დამატებით 45 დღე მიეცა იმისათვის, რომ ხარვეზები გაასწოროს, თუმცა მას დაკისრებული ჯარიმის გადახდა მაინც მოუწევს.

ჩვენ მივუთითეთ ჩვენს ხედვებზე, რომ დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი. ძირითადი პრობლემები იყო როგორც ტრანსპორტის კუთხით, ასევე ზონირების, ეფექტიანობის და ხეირიანობის კუთხით. დღეს გამოქვეყნდება დოკუმენტაცია. ჩვენ ვთხოვეთ, რომ კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დაესახელებინათ გონივრული ვადა იმისთვის, რომ დოკუმენტი მოიყვანონ შესაბამისობაში. მათ მოითხოვეს 45 დღიანი ვადა და ამაზე გაფორმდა ხელშეკრულება. ამ პერიოდში მათ უნდა მოგვაწოდონ სრულყოფილი დოკუმენტი. ნებისმიერ შემთხვევაში გენგეგმა ჩვენთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზეც შეიძლება ვიმუშაოთ.

— ჩვენ კომპრომისებზე არ წავალთ, გვინდა კომპრომისული დოკუმენტი და თუკი ასეთს ვერ მივიღებთ, მაშინ ჩვენ ჩავრთავთ საერთაშორისო გამოცდილების კომპანიებს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ საბოლოო ჯამში შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიღებთ იმ გენგეგმას, რომელიც სჭირდება ქალაქს. ამ ეტაპზე ჩვენ ვართ კონსტრუქციულები, იმედი გვაქვს და ყველანაირად შევუწყობთ ხელს, რომ ამ გეგმის მოდიფიცირება შეძლონ, — განაცხადა ელოშვილმა.

რაც შეეხება ჯარიმას, მერის მოადგილის თქმით, ჯგუფს ჯარიმის გადახდა ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს, ვინაიდან ჯარიმა მას დაკისრებული აქვთ იმისთვის, რაც ვერ შეასრულა.

## ფოთში 54 წლის ქალს ეძებენ




ქალაქ ფოთში 54 წლის ნაზი მარშავას ეძებენ.

როგორც „ნიუპოსტის" კორესპონდენტს მეზობლებმა განუცხადეს, ქალი მარტო ცხოვრობს და მას ფსიქიკური პრობლემები აქვს.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

## ხაშურში საკეისრო კვეთის დროს ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა




„ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 14 იანვარს მოხდა. 40 წლამდე ქალი მესამე შვილზე იყო ფეხმძიმედ და საკეისრო კვეთის დროს დაიღუპა. კლინიკაში გარდაცვალების გამომწვევ მიზეზებზე არ საუბრობენ. კერძოდ, კლინიკის მენეჯერმა თემურ მძინარიშვილმა საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა და ტელეფონი გათიშა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე ვადით.

## ასპინძაში 45 წლის მამაკაცი მოკლეს




ასპინძაში 45 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს.

ახლობლების ინფორმაციით, გარდაცვლილი მწყემსი იყო. მას ჭრილობა მარცხენა მხარეს, ბარძაყის არეში, არტერიასთან ჰქონდა მიყენებული.

მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია 1 პირი და დაწყებულია გამოძიება.

## ხარაგაულში 28 წლის მამაკაცს ეძებენ



ხარაგაულის სოფელ ბორითში 6 დღეა 28 წლის ამირან ბარბაქაძეს ეძებენ.

ახლობლების თქმით, მამაკაცი ნასვამი იყო და, სავარაუდოდ, მდინარე დუმალაში გადავარდა, რადგან ქურთუკი, რომელიც დაკარგულს ეცვა, მდინარის ნაპირზე იპოვეს.

## ტრაგედია ქობულეთში — ავარიას 3 წლის ბავშვი ემსხვერპლა



ქობულეთში, დაბა ოჩხამურში მომხდარ ავარიას სამი წლის ბავშვი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, შს სამინისტრომ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლის ვინაობა უკვე დაადგინა.

უწყების ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს 276 მუხლის მე-5 ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ოთარ აბესაძე გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა



თბილისის მერიის ყოფილი თანამშრომელი ოთარ აბესაძე 15 იანვარს სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. აბესაძის ადვოკატის ლილი გელაშვილის განცხადებით, სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებული გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა:

– სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა. წარვადგინეთ ექსპერტიზის დასკვნა, სადაც საუბარი იყო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება შეუცვალა 10.000-ლარიანი გირაოთი, – განაცხადა ლილი გელაშვილმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ბრალდებით თბილისის მერიის თანამშრომელი ოთარ აბესაძე 2017 წლის 12 ივლისს დააკავა.

# საქართველოს პროკურატურამ პაატა პავლიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება შეწყვიტა



საქართველოს პროკურატურამ ნუცუბიძის ქუჩაზე მოქალაქე პაატა პავლიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე წარმოებული გამოძიება შეწყვიტა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" პროკურატურიდან აცნობეს, საქართველოს პროკურატურაში დასრულდა 2017 წლის 25 ოქტომბერს, თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე მოქალაქე პაატა პავლიაშვილის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე წარმოებული გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე დააკავეს პ. პ., რომელიც დაკავების მომენტში გარდაიცვალა.

საგამოძიებო უწყების განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ბრალეულობა არ გამოიკვეთა, მოცემულ საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

– იმ ფაქტის გასარკვევად, გარდაცვალება ხომ არ გამოიწვია საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ბრალეულმა ქმედებამ, საქართველოს პროკურატურაში ჩატარდა სრულყოფილი გამოძიება, კერძოდ, გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით გამოიკითხა 60-ზე მეტი პირი, მათ შორის უშუალოდ პ.პ.-ს ოჯახის წევრები, შემთხვევის შემსწრე მოქალაქეები და საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეები, ასევე მოწმის სახით გამოიკითხნენ საპატრულო პოლიციის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის წევრები.

თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან პ.პ.-ს მიმართ ძალადობას ან ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია და მათ პ.პ.-ს ხელბორკილი ახსნეს დაუყონებლივ, როგორც კი ამ უკანასკნელმა შეუძლოდ იგრძნო თავი. ასევე დადგინდა, რომ სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოძახებული იქნა უშუალოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მიერ.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოსამართლის შესაბამისი განჩინების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან ამოღებულ იქნა უშუალოდ ინციდენტის დროს, ადგილზე გამოძახებული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის სამხრე კამერისა და საპატრულო ავტომანქანაზე დამონტაჟებული კამერის ჩანაწერები. ასევე, საქმეზე ამოღებულია მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერი.

ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პატრულ-ინსპექტორების სამხრე კამერას დაფიქსირებული აქვს მხოლოდ პ.პ.-ს დაკავების შემდგომი პერიოდი, რაზეც პროკურატურაში გამოკითხულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ მათ მიერ სამხრე კამერის ჩართვა მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდა პ.პ.-ს ადმინისტრაციული წესით დაკავება. პატრულის თანამშრომლებმა გამოკითხვის დროს ასევე განმარტეს, რომ ისინი სამხრე კამერით უწყვეტად იწერდნენ კონფლიქტის მონაწილე პირებთან – გ.კ.-სთან და ნ.შ.-სთან გასაუბრებას, თუმცა მას შემდეგ, რაც ადგილზე გამოძახებული იქნა გამომძიებელთა ჯგუფი, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გამორთო სამხრე კამერა. რაც შეეხება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ კამერას და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გარე პერიმეტრის სათვალთვალო კამერას, ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კამერები არ ფარავს იმ ტერიტორიას, სადაც განხორციელდა პ.პ.-ს დაკავება და მოხდა მისი გარდაცვალება, – აცხადებენ საგამოძიებო უწყებაში.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ ამოღებულ სამხრე კამერებსა და ე.წ. „დივიარებზე" ჩანაწერების ავთენტიკურობისა და იმ ფაქტის გასარკვევად, ხომ არ მოხდა ჩანაწერების მონტაჟი ან/და დაკავების ამსახველი ჩანაწერის ხელოვნურად წაშლა, პროკურატურის მიერ დაინიშნა შესაბამისი კომპიუტერული ექსპერტიზა.

2017 წლის 24 ნოემბრის და 2018 წლის 11 იანვრის კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, პატრულის სამხრე კამერებსა და ავტომობილის ბორტის კამერაზე წაშლის ან მონტაჟის კვალი არ გამოვლინდა.

გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2017 წლის 13 ნოემბრის დასკვნის თანახმად, პ.პ.-ს გარდაცვალების მიზეზია ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად გამოწვეული სუნთქვის მწვავე უკმარისობა. გარდაცვლილს სხეულზე რაიმე სახის დაზიანებები არ აღენიშნება, გარდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ განხორციელებული მანიპულაციისა. პ.პ.-ს ორგანიზმში ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების კვალი არ იქნა აღმოჩენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ბრალეულობა არ გამოიკვეთა, მოცემულ საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

# „ერთ არასრულწლოვანს დაზიანება ყელისა და ფეხის არეში აქვს მიყენებული, მეორეს დანა მუცელში ჩაარტყეს"




ხაშურში მოზარდებს შორის ჩხუბის შედეგად დაჭრილ არასრულწლოვნებს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებათ, მეთორმეტე კლასის მოსწავლეები საავადმყოფოში იმყოფებიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ერთს დაზიანება მუცლის არეში, ხოლო მეორეს ყელისა და ფეხის არეში აქვს მიყენებული.

არსებული ინფორმაციით, თავდაპირველად კლინიკაში ოთხი მოსწავლე შეიყვანეს, თუმცა, რადგან ორი მსუბუქად იყო დაშავებული, ისინი მალევე გაწერეს.

ერთ-ერთ დაჭრილს ოპერაცია უკვე ჩაუტარდა.

რაც შეეხება რესტორანს, სადაც დაპირისპირება მოხდა, იქ ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

რესტორნის თანამშრომლები კი გამოკითხვაზე გადაიყვანეს. ობიექტში დასაქმებული პირები ირწმუნებიან, რომ დაჭრა რესტორნის გარეთ მოხდა.

ერთ-ერთი დაჭრილის ახლობლის ინფორმაციით, მეთორმეტე კლასის მოსწავლეები კვების ობიექტში თანაკლასელის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. დაპირისპირება რესტორნის შიგნით დაიწყო და გარეთ გაგრძელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

## თბილისში მიკროავტობუსი დაიწვა




თბილისში გელოვანის გამზირზე მიკროავტობუსი დაიწვა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აღნიშნავენ, რომ შემთხვევა 14 იანვარს, ღამით მოხდა.

შემთხვევის დროს მიკროავტობუსში მგზავრები არ იმყოფებოდნენ, არ დაშავებულა მძღოლი.

ადგილზე ერთი სახანძრო ჯგუფი მუშაობდა.

## ავჭალაში ცოლ-ქმარი მოკლეს

თბილისში, ავჭალის ქუჩაზე, ცოლ-ქმარი მოკლეს.

როგორც ირკვევა, ტატიშვილებს მარკეტი ჰქონდათ, სადაც ყაჩაღობის მოტივით ნიღბიანები შეიჭრნენ. წინასწარი ინფორმაციით, ცოლ-ქმარმა ბოროტმოქმედებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგაც მოკლეს.



ადგილობრივების თქმით, გარდაცვლილია 66 წლის მამაკაცი და 58 წლის ქალი. მათი ცხედრები უკვე გადაასვენეს პროზექტურაში.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 2 მუხლით მიმდინარეობს – 109-ე დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისა და 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებას გულისხმობს.

## თბილისში „მაგთის" ოფისი გაქურდეს



თბილისში წერეთლის გამზირზე „მაგთის" ოფისი გაქურდეს. არსებული ინფორმაციით, წაღებულია მობილური ტელეფონები.

როგორც „ნიუპოსტს"-ს შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს.

ბრალდებულს ამ დრომდე ეძებენ.

## ქუთაისში დაცვის თანამშრომლის დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს



ქუთაისში დაცვის თანამშრომლის დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს. ქუთაისში, ბარ-რესტორან „სეზამში" მომხდარ დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ერთი პირია დაკავებული. შემთხვევა 12 იანვარს ღამით მოხდა. ინციდენტში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირები, რომლებსაც ბარში სასმელის შეტანა სურდათ, დაცვის თანამშრომლებმა არ შეუშვეს.

შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც დაცვის თანამშრომელს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენეს. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი ის ექიმებმა სახლში გაწერეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ტრამპი ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მოლაპარაკებებს მიესალმება



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მოლაპარაკებებს მიესალმა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დიალოგი დაძაბულობის განმუხტვასა და კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო ზონად გამოცხადებას უდავოდ შეუწყობს ხელს.

ამერიკულმა დიპლომატიამ უზარმაზარი სამუშაო გასწია საიმისოდ, რათა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მოლაპარაკებები დაწყებულიყო, – თქვა ტრამპმა.

# პუტინი კომუნიზმსა და ქრისტიანობას შორის პარალელს ავლებს



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ კომუნისტური იდეალები ადრეულ ქრისტიანობის იდეებს მთლიანად ემთხვევა. სოციალური სამართლიანობისა და დედამიწაზე სამოთხის აშენებაზე კაცობრიობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ოცნებობდა. მან განაცხადა, რომ რუსეთში ადგილი ჰქონდა გრანდიოზულ მცდელობას, რათა სამართლიანი სახელმწიფო აეშენებინათ.

– ლენინის მიზანი არა რუსეთის იმპერიის აღორძინება იყო (რასაც მას დღეს ვილაცვილაცები აბრალებენ), არამედ სამართლიანი საზოგადოების შექმნა. ამიტომაც ლენინი პატივისცემის ღირსია, თუმცა მისი მეთოდები უდავოდ მიუღებელია, – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტი გაუმართლებლად მიიჩნევს მავზოლეუმიდან ლენინის ცხედრის გამოსვენებასა და ქრისტიანული წესით დაკრძალვას.

– მავზოლეუმი რუსეთის სიამაყეა! ლენინის სხეულს ისეთივე ძალა აქვს, როგორც წმინდანის ძვლებს, – მიიჩნევს რუსეთის პრეზიდენტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მაჰმუდ აბასი დონალდ ტრამპს საპასუხო სილის გაწვნით დაემუქრა



პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა დონალდ ტრამპი მისი ადმინისტრაციის მიერ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარების გამო მკაცრად გააკრიტიკა.

– ტრამპმა საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა – ჩვენ არ მივცემთ ფულს პალესტინელებს, რადგან მათ უარი თქვეს მოლაპარაკებებზე. სირცხვილი შენ. როდის უარვყავით მოლაპარაკებები? სად არის ის მოლაპარაკება, რომელზეც უარი ვთქვით? – განაცხადა აბასმა და ხაზი გაუსვა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ იერუსალიმის დედაქალაქად აღიარება არის „საუკუნის სილა“, თუმცა საპასუხო სილას თავადაც დაუბრუნებენ.

– ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ ყველაფერზე, რაც ჩვენ ბედსა და ხალხს უკავშირდება, ახლა უარს ვეუბნებით ტრამპს. ჩვენ მას ვუთხარით, რომ საუკუნის გარიგება საუკუნის სილა იქნებოდა, თუმცა საპასუხო სილა ჩვენგანაც იქნება, – განაცხადა აბასმა.

პალესტინის პრეზიდენტის განცხადება ტრამპის მუქარას მოჰყვა, რომ პალესტინის მთავრობას დახმარებას შეუწყვეტდნენ.

– რატომ უნდა განვახორციელოთ დიდი რაოდენობით ფულადი დახმარებები პალესტინელების მიმართ მომავალში, როცა მათ უარი თქვეს სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. პალესტინელებს ასობით მილიონ დოლარს ვუხდით წელიწადში და დაფასებას ვერ ვიღებთ. მათ ისრაელთან ხანგრძლივი სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაც არ სურთ, – განაცხადა ტრამპმა.

# ჯაკარტაში, საფონდო ბირჟის შენობაში ნგრევის შედეგად 72 ადამიანი დაშავდა



ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში საფონდო ბირჟის შენობაში ერთ-ერთი გალერეის ჩამონგრევის შედეგად 72 ადამიანი დაშავდა.

შემთხვევა საფონდო ბირჟაზე შესვენების დროს მოხდა.

პოლიციის განცხადებით, დედაქალაქის საავადმყოფოებში 72 ადამიანია გადაყვანილი.

მიმდინარეობს მომხდარის დეტალების გამოძიება.

# „ერთი თავდამსხმელი კაბინეტის კარში იდგა, მეორე კი ბავშვებს დანას ურტყამდა“ – სისხლიანი გარჩევა რუსეთის სკოლაში



გუშინ, ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე, რუსეთის ქალაქ პერმის 127-ე სკოლაში სისხლიანი ჩხუბი მოხდა.

ჩხუბი სკოლის დერეფანში დაიწყო 17 წლის 2 ბიჭს შორის. მათგან ერთ-ერთი 127-ე სკოლის მოსწავლეა, მეორე კი ადრე სწავლობდა ამ სკოლაში.

რაღაც მომენტში მოჩხუბრები შევარდნენ კაბინეტში, სადაც მე-4 კლასის გაკვეთილი მიმდინარეობდა. მასწავლებელმა მათი გაშველება სცადა, რის გამოც თავად დაიჭრა. გარდა ამისა, დაშავდა მე-4 კლასელი 9 მოსწავლე.

აი, რას ყვება მე-10 კლასის მოსწავლე:

– ჩვენ გეოგრაფიის გაკვეთილი გვქონდა მე-3 სართულზე, სადაც ეს ყველაფერი მოხდა. გავიგონეთ სახანძრო განგაშის ხმა, რის შემდეგაც მასწავლებელმა კლასიდან გაგვიყვანა. როცა გამოვდიოდით, ყოველ 5 მეტრში სისხლის წვეთები გვხვდებოდა. როდესაც გამოვედით, მე-3 სართულზე ფანჯრებიდან ბოლი გამოდიოდა. თავიდან გვითხრეს, რომ იქ ლამპა გასკდა და მისმა ნამსხვრევებმა რამდენიმე მოსწავლე დაჭრა. თანაკლასელმა კი მითხრა, რომ სკოლაში ორი უცხო შემოვიდა, რომლებმაც დაჭრეს ჩვენი ქიმიის მასწავლებელი და რამდენიმე ბავშვი.

სხვა მოწმე ასეთ რამეს ამბობს:

– ერთი თავდამსხმელი კარში იდგა და ბავშვებს გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა, მეორე კი ბავშვებს დანას ურტყამდა. მოსწავლეთა ნაწილმა გაქცევა მაინც მოახერხა. მათ სავაჭრო ცენტრს შეაფარეს თავი, რომელიც სკოლის პირდაპირ მდებარეობს.

ინციდენტის ორივე მონაწილე დაკავებულია. სკოლაში მეცადინეობა შეწყდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ხულიგანი თუთიყუშები მანქანებს საფრთხეს უქმნიან

ახალ ზელანდიაში ეროვნული პარკის ფიორდლენდის გზის პირზე სათამაშო მოედანი გააკეთეს კეას თუთიყუშებისთვის. ამის მიზეზი გახდა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ ერთობიან საგზაო ნიშნებით თუთიყუშები და საფრთხეში იგდებენ თავსაც და საფრთხეს უქმნიან ავტომობილებსაც.

ამასთან კეას დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ტამსინ ორ-უოლკერი თვლის, რომ შესაძლოა თუთიყუშები შეგნებულად უშლიდნენ ხელს მანქანების მოძრაობას, რათა მძღოლებს სვლა შეენელებინათ, ხოლო მათ მათთვის საკვები გამოეძალათ.

თუთიყუშებისთვის განკუთვნილი სათამაშო მოედანი უკვე მეოთხეა. წინა მოედნებიც ასევე გზების მახლობლად გაკეთდა და იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ფრინველები გზებზე ხულიგნობას ჩამოაშორონ.

კეა, ერთადერთი მაღალი მთის თუთიყუშია და ასევე მტაცებელი თუთიყუშების ერთ-ერთი იშვიათი წარმომადგენელი. მათ ნისკარტის დარტყმით ცხვრის მოკვლაც კი შეუძლიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.
- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ზამთრის თასი საქართველომ და ლოკომოტივმა მოიგეს

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დასრულდა ზამთრის თასის 2018 წლის გათამაშება. ტურნირში ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის კლუბები და ვეტერანი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

ქართული გუნდების მონაწილეობით ტურნირში 4 ჯგუფი იყო: ა ჯგუფში უძლიერესის გამოსავლენად ერთმანეთს რუსთავი, თელავი, გაგრა და ქუთაისის ტორპედო დაუპირისპირდნენ. ჯგუფში პირველი ადგილი რუსთაველებმა დაიკავეს. ვარლამ კილასონიას გუნდმა დამაჯერებლად იასპარეზა და სამივე თამაში მოიგო. პირველ შეხვედრაში რუსთავი გაგრასთან 0:3 მარცხდებოდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და მატჩი მათი სასურველი ანგარიშით – 4:3 დაასრულა. ასევე დაძაბული გამოდგა რუსთავისა და თელავის დაპირისპირება. ქვემოქართლელებმა გამარჯვების გოლი უკანასკნელ წუთზე გაიტანეს. ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში ვარლამ კილასონიას გუნდი ტორპედოს დაუპირისპირდა და 6:1 დაამარცხა მეტოქე. ბოლო ტურში ტორპედოელთა მარცხის გამო 3 გუნდს თანაბარი 3-3 ქულა დაუგროვდა. დებულების თანახმად მეტი გატანილი გოლის წყალობით, მეოთხედფინალის საგზური თელავმა მოიპოვა.

ბ ჯგუფში პლეი-ოფის საგზურისთვის ერთმანეთის წინააღმდეგ ნორჩი დინამო, თბილისის დინამო, ვიტ ჯორჯია და ფოთის კოლხეთი წარდგნენ. ნორჩმა დინამომ სასურველი უპირატესობის მოპოვება პირველივე შეხვედრაში მოახერხა და ჯგუფური ეტაპი 3 მოგებით დაასრულა. ნორჩმა დინამოელებმა პირველ მატჩში თბილისის დინამოს 6:2 მოუგეს, მეორე შეხვედრაში კოლხეთი დაამარცხეს 7:2, ბოლო მატჩი კი უშუალო კონკურენტის, ვიტ ჯორჯიას წინააღმდეგ გამართა და კვლავ დამაჯერებელი ანგარიშით 4:1 მოიგო. რაც შეეხებათ ვიტელებს, მათ საწყის შეხვედრებში კოლხეთი და დინამო, შესაბამისად, 5:0, 6:4 დაამარცხეს და 6 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს.

გ ჯგუფში პლეი-ოფში გასასვლელად ერთმანეთის წინააღმდეგ სამტრედია, გორის დილა, ბოლნისის სიონი და თბილისის შევარდენი წარდგნენ. ჯგუფის პირველ შეხვედრაში ბოლნისელები გორელებს დაუპირისპირდნენ და დამაჯერებელი ანგარიშით 8:3 დაამარცხეს მეტოქე. ასევე დამაჯერებლად მოიგო შევარდენმა, რომელმაც სამტრედიას 5 უპასუხო გოლი გაუტანა. დედაქალაქელებმა კარგი სტარტის შემდეგ ცუდად იასპარეზეს და დილასთან დაძაბულ ბრძოლაში, ანაგრიშით – 3:2 დამარცხდნენ. მომდევნო მატჩში ერთმანეთს ბოლნისის სიონი და სამტრედია დაუპირისპირდნენ. ბოლნისელებმა ამჯერადაც დიდი ანგარიშით – 9:2 დაამარცხეს მეტოქე. დასკვნით შეხვედრაში სიონი შევარდენს შეხვდა, სამტრედია – დილას. თბილისურ-ბოლნისური დაპირისპირება შევარდენის გამარჯვებით 4:1 დასრულდა. გორელებმა კი მეტოქე ანგარიშით – 6:2 დაამარცხეს. შედეგად სამმა გუნდმა თანაბარი 6-6 ქულა დააგროვა. დებულების თანახმად, ასეთ დროს უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში დაფიქსირებულ შედეგს ენიჭება და, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილებზე ბოლნისის სიონი და თბილისის შევარდენი გავიდნენ.

საინტერესო გამოდგა დ ჯგუფის მატჩები. უძლიერესის გამოსავლენად ერთმანეთს საბურთალო, ლოკომოტივი, ცხინვალი და მერანი დაუპირისპირდნენ. ჯგუფში პირველი ადგილი საბურთალომ დაიკავა, მეორე – ლოკომოტივმა. ლოკომ პირველი შეხვედრა მერანს მოუგო – 9:2, მეორეში ცხინვალს აჯობა – 7:0. საწყის მატჩებში ნაჩვენები თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ლოკომოტივი პირველ ადგილზე გასვლის მთავარ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ საბურთალომ ბოლომდე იბრძოლა და პირველობა არავის დაუთმო. საბურთალოელებმა პირველი მატჩი ცხინვალთან ფრედ 3:3 ითამაშეს, მეორე მერანს 3:0 მოუგეს და დასკვნით შეხვედრაში თბილისურ დერბიში ლოკომოტივს 5:3 მოუგო.

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, ოლიმპიურ სასახლეში მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. პირველ შეხვედრაში ერთმანეთს რუსთავი და ვიტ ჯორჯია დაუპირისპირდნენ. დამაჯერებლად მოგებული მატჩების შემდეგ ვარლამ კილასონიას გუნდმა პლეი-ოფზე კონცენტრირება ვერ მოახერხა და პრაქტიკულად უშანსოდ დამარცხდა. ვეტერინარებმა მეტოქეს 6 გოლი გაუტანეს, საკუთარ კარში კი, 2 მიიღეს. ასეთივე ანგარიშით ლოკომოტივმა სიონს მოუგო და პრობლემების გარეშე გავიდა ნახევარფინალში. დრამატული გამოდგა მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა. ნორჩ დინამოსა და თელავს შორის გამართული მატჩი თელაველთა უპირატესობით დაიწყო. გიორგი დეკანოსიძის გუნდმა საწყის წუთებში 2 ბურთით დაწინაურება მოახერხა, მაგრამ კახელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და საბოლოოდ 2:3 დამარცხდნენ. საინტერესო გამოდგა შევარდენისა და საბურთალოს დაპირისპირება, რომელიც მეორელიგელმა გუნდმა 5:3 მოიგო.

ნახევარფინალები ნაკლებად დაძაბული გამოდგა: შევარდენმა' 5:0 დაამარცხა ნორჩი დინამო, ხოლო ლოკომოტივმა 5:2 სძლია ვიტ ჯორჯიას.

ფინალში ლოკომოტივმა 4:0 დაამარცხა შევარდენი. ანგარიში თემურ შონიამ გახსნა. მალევე ლოკოს სახიფათო შეტევა დავით ოდიკაძის ავტოგოლით დასრულდა. პირველივე ტაიმში ლოკომოტივის უპირატესობა გაიზარდა – შევარდენს ლევან ქურდაძემ გაუტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი კიკნაძემ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.



ტურნირის გამარჯვებულ ლოკომოტივს 15.000 ლარი გადაეცა, მეორეადგილოსანმა შევარდენმა კი 10.000 ლარი მიიღო. გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელი ლოკომოტივის კაპიტანი დავით უბილავა გახდა.

ზამთრის თასის 2018 წლის გათამაშება ტრადიციულად უცხოელი და ქართველი ვარსკვლავების ტურნირით დასრულდა. წლევანდელ ტურნირზე საქართველოს ნაკრებთან ერთად, ესპანეთის, იტალიის, უკრაინის, თურქეთისა და უეფას გუნდები ასპარეზობდნენ.

საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში იტალიისა და ესპანეთის ნაკრებებთან მოხვდა. ჩვენმა გუნდმა ტურნირის პირველ შეხვედრაში იტალია დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 7:6 დაამარცხა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან პოკერით ალექსანდრე იაშვილი გამოირჩა, თითო გოლი ზურაბ ხიზანიშვილმა და კახა კალაძემ გაიტანეს, ერთი ბურთი კი, საკუთარ კარში, მასიმო პაგანინიმ ჩაჭრა. ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში ჩვენი გუნდი ესპანეთს დაუპირისპირდა. დაძაბული და საინტერესო მატჩი ესპანელთა გამარჯვებით 4:2 დასრულდა. ქართველთა მხრიდან გოლები გიორგი დემეტრაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანეს. შესაბამისად, საქართველოს ნაკრებმა 3 ქულა დააგროვა და ა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, ესპანეთმა კი საკუთარი მატჩი იტალიასთანაც მოიგო (3:2) და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ბ ჯგუფი უკრაინის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. უკრაინელებმა ჯგუფში ორივე თამაში მოიგეს და 6 ქულა დააგროვეს. პირველ შეხვედრაში მათ თურქეთს აჯობეს ანგარიშით – 3:2, მეორე მატჩი კი უეფას მოუგეს 4:1. მეორე ადგილზე სწორედ უეფას გუნდი გავიდა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს გუნდმა თურქეთი დაამარცხა, ანგარიშით 3:2 და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება 3 ქულით მოიპოვა.

პირველი ნახევარფინალური შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის ნაკრებებს შორის გაიმართა. მატჩი ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 6:1 დასრულდა. ჩვენი გუნდიდან გატანილი გოლებით კახა კალაძე (4), მიხეილ ყაველაშვილი და ალექსანდრე იაშვილი გამოირჩნენ. მეორე ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრები უეფას დაუპირისპირდა. დაძაბული შეხვედრა ესპანელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს საქართველო და ესპანეთი დაუპირისპირდნენ. ალექსანდრე ჩივაძისა და რევაზ ძოძუაშვილის გუნდმა ჯგუფში განცდილი მარცხის გამო სრულფასოვანი რევანში აიღო, გადამწყვეტ შეხვედრაში მეტოქე 6:3 დაამარცხა და ზამთრის თასს ზედიზედ მეორედ დაეუფლა. ჩემპიონთა მხრიდან ჰეტ-თრიკით გუნდის კაპიტანი, კახა კალაძე გამოირჩა, თითო გოლი კი, ალექსანდრე ამისულაშვილის, ზურაბ ხიზანიშვილისა და ლევან კობიაშვილის ანგარიშზეა.

მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ უეფას გუნდის წევრი, მილენკო აჩიმოვიჩი დასახელდა, ბომბარდირი 8 გატანილი გოლით საქართველოს ნაკრების კაპიტანი, კახა კალაძე გახდა, საუკეთესო მეკარის წოდება კი ესპანელმა ხულიო იგლესიასმა მიიღო. გუნდებსა და გამორჩეულ მოთამაშეებს კუთვნილი ჯილდოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, შალვა გოგოლაძემ გადასცეს.

დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასის საფეხბურთო ვარსკვლავების გათამაშების გამარჯვებულს – საქართველოს ნაკრებს თასი დავით პეტრიაშვილის მეუღლემ – ლიკა იოსელიანმა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცეს.

# საქართველოს ნაკრების ხელბურთელებმა მოგება ხელიდან გაუშვეს

საქართველოს ხელბურთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩი ფრედ, 23:23 ითამაშა ისრაელთან და მესამე ადგილს დასჯერდა. არადა, შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, ჩვენები 21:17 იგებდნენ.



ისრაელთან სასტარტო შემადგენლობაში შალვა სტურუა გამოჩნდა, რომელმაც მალევე გახსნა თვისი პირადი სანაკრებო ანგარიში. ისრაელი ცოტა ხანში 2 ბურთით დაწინაურდა და ეს სხვაობა თითქმის ტაიმის ბოლო წუთებამდე შენარჩუნდა. მეტოქემ აქტიური, 3-2-1 დაცვა გვეთამაშა და ჩვენებს ადაპტაციისთვის დრო დასჭირდათ. სამაგიეროდ, ისრაელი შეტევაში ძალიან ბევრ ბურთს კარგავდა, რის გამოც დონე ბოშკოვსკიმ ჩიქოვანი წინ ასწია და 5-1 წყობაზე გადავიდა. ამან გაამართლა და მატჩის ბოლომდე გაგრძელდა.

შეტევაში ისრაელის განლაგებას ალღო უკეთ თემო ორჯონიკიძემ აუღო და რამდენჯერმე ინდივიდუალურად გაარღვია მწყობრი, ტაიმის ბოლოს კი ორჯერ ცხოვრებაძემაც გაიტანა და ტაიმი ფრედ მორჩა – 12:12.

მეორეში ნელ-ნელა დავწინაურდით. ჩიქოვანი და ორჯონიკიძე რეგულარულად ჯობნიდნენ მეურვეებს, ხოლო დაცვაში კარგად იდგნენ დათუკაშვილი, წითელიშვილი და დიხამინჯია. შოთა თევზაძის მოგერიებული შვიდმეტრიანისა და კუთხიდან დარტყმის შემდეგ, 45 წუთზე ანგარიში 18:15 იყო. შემდეგ რუსტამოვმა ჩაჭრა მეტოქის პასი და გარღვევა მოაწყო, ჩიქოვანმა (6 გოლი, 5 საგოლე პასი) 9 მეტრიდან შეაგდო, ხოლო ორჯონიკიძის მორიგი შორეული დარტყმის შემდეგ 4 ბურთითაც დავწინაურდით – 21:17 და რჩებოდა 10 წუთი.

მეტოქემ მაქსიმალურად გაამკაცრა დაცვა, ბოლოს კი პერსონალურად აიყვანა ჩიქოვანიც და ორჯონიკიძეც. სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე 23:21 ვიგებდით, მაგრამ ცხოვრებაძემ გარბენი გააკეთა, გერერომ კი შორიდან გაგვიტანა – 23:22. წუთი და 13 წამი რჩებოდა, როცა ჩვენი ნაკრები შეტევაში წავიდა, და დროის მაქსიმალურად გაწელვაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ მეტოქის მკაცრი წნეხის ქვეშ მსხვილიძემ შეტევის მე-17 წამზევე დაარტყა შორიდან და ვერ შეაგდო. ისრაელის ბოლო იერიშს თითქოს წარმატებით ვუმკლავდებოდით, მაგრამ მეტოქემ ბოლო ცხრამეტრიანის გათამაშების შემდეგ ბურთი მარცხენა კუთხემდე ჩაიტანა და მათმა გარემარბმა კაცმა, დასრულებამდე 2 წამით ადრე, გაათანაბრა – 23:23. საქართველოს ნაკრებს მესამე ადგილი ბურთების უკეთესი სხვაობის გამო ერგო.

ხელიდან გაშვებული მოგება და ლიტვა-ლატვიასთან ბოლო წუთებზე წაგებული მატჩები – ასეთი იყო საქართველოს ნაკრების შედეგი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე. ახალი მწვრთნელის ბოშკოვსკის ხელში საქართველოს ნაკრები სრულიად ბრძოლისუნარიანი და მობილიზებული გუნდი იყო, შემოდგომაზე ნაკრები ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნდა ჩაებას და მთავარ შესარჩევ რაუნდში გასასვლელად იბრძოლოს.

## შედეგები

14 იანვარი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-არსენალი .................... 2:1
ლივერპული-სიტი ......................... 4:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 20 | 2 | 1 | 67-17 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 22 | 14 | 5 | 3 | 45-16 | 47 |
| 3.ლივერპული | 23 | 13 | 8 | 2 | 54-28 | 47 |
| 4.ჩელსი | 23 | 14 | 5 | 4 | 41-16 | 47 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 13 | 5 | 5 | 46-21 | 44 |
| 6.არსენალი | 23 | 11 | 6 | 6 | 41-30 | 39 |
| 7.ბარნლი | 23 | 9 | 7 | 7 | 19-20 | 34 |
| 8.ლესტერი | 23 | 8 | 7 | 8 | 34-32 | 31 |
| 9.ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-38 | 27 |
| 10.უოტფორდი | 23 | 7 | 5 | 11 | 33-42 | 26 |
| 11.ვესტ ჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29-41 | 25 |
| 12.კრ.პალასი | 23 | 6 | 7 | 10 | 21-33 | 25 |
| 13.ბორნმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 24-35 | 24 |
| 14.ჰადერსფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 19-39 | 24 |
| 15.ნიუკასლი | 23 | 6 | 5 | 12 | 21-31 | 23 |
| 16.ბრაიტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 17-29 | 23 |
| 17.საუთჰემპტონი | 23 | 4 | 9 | 10 | 23-34 | 21 |
| 18.სტოკი | 22 | 5 | 5 | 12 | 23-47 | 20 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 3 | 10 | 10 | 18-30 | 19 |
| 20.სუონსი | 23 | 4 | 5 | 14 | 14-35 | 17 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-სელტა ............................ 0:1
ალავესი-სევილია .......................... 1:0
ესპანიოლი-ბილბაო ....................... 1:1
სოსიედადი-ბარსელონა ................ 2:4

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 3 | 0 | 52-9 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 12 | 6 | 1 | 28-8 | 42 |
| 3.ვალენსია | 19 | 12 | 4 | 3 | 40-19 | 40 |
| 4.რეალი | 18 | 9 | 5 | 4 | 32-17 | 32 |
| 5.ვილიარეალი | 19 | 9 | 4 | 6 | 26-21 | 31 |
| 6.სევილია | 19 | 9 | 2 | 8 | 23-28 | 29 |
| 7.ეიბარი | 19 | 8 | 3 | 8 | 24-31 | 27 |
| 8.ხეტაფე | 19 | 7 | 5 | 7 | 23-18 | 26 |
| 9.ხირონა | 19 | 7 | 5 | 7 | 28-28 | 26 |
| 10.სელტა | 19 | 7 | 4 | 8 | 33-27 | 25 |
| 11.ბილბაო | 19 | 6 | 7 | 6 | 21-20 | 25 |
| 12.ლეგანესი | 17 | 7 | 3 | 7 | 13-14 | 24 |
| 13.ბეტისი | 18 | 7 | 3 | 8 | 30-34 | 24 |
| 14.ესპანიოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 16-22 | 24 |
| 15.სოსიედადი | 19 | 6 | 5 | 8 | 33-34 | 23 |
| 16.ლევანტე | 19 | 3 | 9 | 7 | 15-26 | 18 |
| 17.ალავესი | 19 | 6 | 0 | 13 | 14-27 | 18 |
| 18.დეპორტივო | 19 | 4 | 4 | 11 | 21-37 | 16 |
| 19.მალაგა | 19 | 3 | 2 | 14 | 13-33 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 19 | 3 | 2 | 14 | 14-46 | 11 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

უესკა-ნუმანსია ............................... 2:1
კადისი-კორდობა ............................. 2:0
ალბასეტე-გრანადა ......................... 2:1
ლეონესა-ლორკა ............................. 2:1
სევილია ბ-ოსასუნა ......................... 0:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

კიოლნი-გლადბახი ......................... 2:1
დორტმუნდი-ვოლფსბურგი ........... 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 2 | 40-12 | 44 |
| 2.ლაიპციგი | 18 | 9 | 4 | 5 | 30-26 | 31 |
| 3.შალკე | 18 | 8 | 6 | 4 | 29-24 | 30 |
| 4.დორტმუნდი | 18 | 8 | 5 | 5 | 39-24 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 18 | 7 | 7 | 4 | 35-26 | 28 |
| 6.გლადბახი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-30 | 28 |
| 7.აუგსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 28-23 | 27 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 6 | 5 | 28-23 | 27 |
| 9.აინტრახტი | 18 | 7 | 6 | 5 | 21-19 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-28 | 26 |
| 11.ჰერტა | 18 | 6 | 6 | 6 | 26-26 | 24 |
| 12.ვოლფსბურგი | 18 | 3 | 11 | 4 | 21-21 | 20 |
| 13.შტუტგარტი | 18 | 6 | 2 | 10 | 14-21 | 20 |
| 14.ფრაიბურგი | 18 | 4 | 8 | 6 | 18-32 | 20 |
| 15.მაინცი | 18 | 4 | 5 | 9 | 21-31 | 17 |
| 16.ვერდერი | 18 | 3 | 7 | 8 | 14-21 | 16 |
| 17.ჰამბურგი | 18 | 4 | 3 | 11 | 15-26 | 15 |
| 18.კიოლნი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-33 | 9 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-ტულუზა ....................... 2:0
ლიონი-ანჟე ..................................... 1:1
ნანტი-პსჟ ....................................... 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 20 | 17 | 2 | 1 | 59-15 | 53 |
| 2.მონაკო | 20 | 13 | 3 | 4 | 46-19 | 42 |
| 3.ლიონი | 20 | 12 | 6 | 2 | 47-21 | 42 |
| 4.მარსელი | 20 | 12 | 5 | 3 | 41-22 | 41 |
| 5.ნანტი | 20 | 10 | 3 | 7 | 18-19 | 33 |
| 6.ნიცა | 20 | 9 | 3 | 8 | 25-29 | 30 |
| 7.გენგამი | 20 | 8 | 5 | 7 | 23-24 | 29 |
| 8.მონპელიე | 20 | 6 | 9 | 5 | 17-13 | 27 |
| 9.დიჟონი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-34 | 25 |
| 10.რენი | 20 | 7 | 4 | 9 | 24-29 | 25 |
| 11.სტრასბური | 20 | 6 | 6 | 8 | 24-33 | 24 |
| 12.კაენი | 20 | 7 | 3 | 10 | 12-22 | 24 |
| 13.ბორდო | 20 | 6 | 5 | 9 | 23-29 | 23 |
| 14.სტ.ეტიენი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-33 | 23 |
| 15.ლილი | 20 | 6 | 4 | 10 | 18-30 | 22 |
| 16.ამიენი | 20 | 6 | 3 | 11 | 16-22 | 21 |
| 17.ტრუა | 20 | 6 | 3 | 11 | 20-28 | 21 |
| 18.ანჟე | 20 | 3 | 10 | 7 | 22-30 | 19 |
| 19.ტულუზა | 20 | 5 | 4 | 11 | 18-29 | 19 |
| 20.მეცი | 20 | 3 | 3 | 14 | 14-35 | 12 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბოავიშტა-პორტიმორენსე ............ 2:0
ტონდელა-ფეირენშე ..................... 3:1
ბელენენსეში-რიუ ავე .................. 1:2
სპორტინგი-ავიში ......................... 3:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კერკირა-პაოკი .............................. 0:3
ასტერასი-ლარისა ......................... 3:1
ატრომიტოსი-პანეთოლიკოსი ....... 0:1
აეკი-იანინა .................................. 3:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

სპორტი

# დინამო და ქუთაისი — სუპერლიგაში ორხელისუფლებიანობაა



**ბათუმი-დინამო 77:71 (დდ)**
(19:18, 11:19, 18:19, 18:10, 11:5)

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის დინამომ მიმდინარე სუპერლიგაში ზედიზედ მეორედ წააგო. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი ჯერ მგზავრებთან დამარცხდა, შემდეგ კი დინამოელებმა მორიგი შეხვედრა ბათუმში გამართეს და მასპინძლებთან დაძაბული მატჩი ოვერტაიმში – 71:77 დათმეს.

დინამოელები შეხვედრას უმეტესწილად იგებდნენ. მესამე მეოთხედში სტუმრები 10 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა მასპინძლების დაცვისა და ბოლომდე ბრძოლის შედეგად შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბათუმელთა მეფარის – ვახტანგ ქადარიას შორი სროლები. ტანმაღალმა მოთამაშემ მე-4 პერიოდში 2 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო დინამოელთა წელში გამტეხი სამქულიანი ოვერტაიმში მიითვალა – ბათუმი 73:69 დააწინაურა და ზღვისპირელებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოაპოვებინა.

დინამოელები დებიუტში აგებდნენ. მასპინძლები 2-4 ქულით ნიადაგ წინ იყვნენ, თუმცა მეორე პერიოდის დასკვნითი 3-წუთეული სტუმრებმა 13:2 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდეორბით გავიდნენ – 37:30. მოპოვებული ლიდერობა დინამომ ვერ შეინარჩუნა. ბათუმელებმა ანგარიში ძირითადი დროის ბოლოსწინა წუთზე გაათანაბრეს – 66:66. ოვერტაიმში მოწოდების სიმაღლეზე მასპინძლები იყვნენ, რომლებმაც სუპერლიგის ლიდერი საბოლოოდ 6 ქულის სხვაობით დაამარცხეს და ლიდერებში გაერივნენ.

გამარჯვებულთაგან 17 ქულით ბომბარდირი სპენსერ კოლინსი გახდა. ვახტანგ ქადარიამ 16 ქულა მოაგროვა. 12 ქულით დაასრულა შეხვედრა ლეონიდ სტეპანიშინმა. დინამოში 16 ქულით ლაველ ბოიდი გამოირჩა. 13 ქულა დააგროვა ნოდარ გოგოძემ, ხოლო ილია ლონდარიძის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა.

დინამომ ბათუმში წაგებით სუპერლიგის ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა. ქუთაისსა და დინამოს 10 მოგება და 3 მარცხი აქვთ და დაკარგული ქულებით ჩემპიონატს ლიდერობენ.

**ქუთაისი-მგზავრები 95:74**
(29:32, 29:15, 18:16, 19:11)

სუპერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ქუთაისმა მგზავრებს უმასპინძლა და იოლი გამარჯვება მოიპოვა. იმერულმა კლუბმა მეტოქე 21 ქულის სხვაობით – 95:74 დაამარცხა.

არადა, თამაში ისე დაიწყო, მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. პირველი პერიოდი მგზავრებმა 32:29 მოიგეს. მასპინძლებმა თამაში მალევე გამოასწორეს, ლიდერობა მოიპოვეს და თამაშის ბოლომდე უპირატესობას ზრდიდნენ. დიდი შესვენებისთვის ქუთაისი 58:47 იგებდა და შეხვედრა ისე ჩაამთავრა, მის მოგებას საფრთხე არ დამუქრებია.

ქუთაისელებს 22 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა. 19 ქულა მოაგროვა დეჟუან რაითმა, ხოლო აკაკი ლომოურის 13 ქულა დაგროვდა. ჯონათან ლიმ ორმაგი დუბლი – 12 ქულა და 11 პასი მიითვალა. მგზავრებში 18 ქულით ადრიან ბოუი გამოირჩა, ხოლო ბერნარდ ნკალიმ ორმაგი დუბლი – 14 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა.

**რუსთავი-სოხუმი 88:69**
(17:13, 32:19, 15:27, 24:10)

მიმდინარე სუპერლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა რუსთავმა ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფ სოხუმს უმასპინძლა და მართალია, 19 ქულით იმარჯვა, ქვემოქართლელებისთვის მოგება იოლად არ მოსულა. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე მასპინძელთა ლიდერობა მხოლოდ 4 ქულას შეადგენდა (69:65), თუმცა სოხუმელებმა ზეწოლას ვერ გაუძლეს და დარჩენილ დროში გატყდნენ.

სოხუმი ორმა ლეგიონერმა – ანატოლი ჩელოვანმა და ვიტაუსტას კამარუნასმა დატოვა. ბოლო ადგილზე მყოფი სოხუმელები უფრო დასუსტდნენ და ამ ფონზე რუსთავში ნაჩვენები თამაში მათ მაქსიმუმად შეიძლება ჩაითვალოს. რუსთავმა პირველი ტაიმი 17 ქულით – 49:32 მოიგო, რის შემდეგაც მასპინძლებს მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუმცა სოხუმის მოთამაშეებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და მატჩის მოგების შანსი მოიპოვეს.

ლევან რევაზაშვილის, ოთო ბულიავას და განსაკუთრებით, კვან უოლერის შედეგიანობით სოხუმელებმა მესამე პერიოდი 27:15 მოიგეს და ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს. ფაქტობრივად, ბრძოლა თავიდან დაიწყო. შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა სოხუმელებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს, თუმცა დარჩენილ დროში ამერიკელი ლეგიონერებისა და ლევან ცეკვავას ლიდერობით ქვემოქართლელებმა მობილიზებულად და, რაც მთავარია, შედეგიანად ითამაშეს. შედეგად, მასპინძელთა ლიდერობა 15 ქულას ასცდა და საბოლოოდ ქვემოქართლელებმა 88:69 იმარჯვეს.

რუსთავში ორმაგი დუბლით გამოირჩა 2 ლეგიონერი – ტაირელ ნელსონმა 20 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, ხოლო პოლ კუპერის ანგარიშზე 13 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. ლევან ცეკვავამ გამარჯვებულებს 18 ქულა მიაშველა. სოხუმის რიგებში 22 ქულით საუკეთესო იყო კვან უოლერი. 17 ქულა მოაგროვა ოთო ბულიავამ, ხოლო ლევან რევაზაშვილმა შეხვედრა 12 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 14 | 11 | 3 | 1208:1076 | 25 |
| 2.ბათუმი | 15 | 9 | 6 | 1147:1049 | 24 |
| 3.დინამო | 13 | 10 | 3 | 1084:939 | 23 |
| 4.რუსთავი | 14 | 9 | 5 | 1129:1050 | 23 |
| 5.კაქტუსი | 14 | 7 | 7 | 1082:1130 | 21 |
| 6.ოლიმპი | 13 | 8 | 5 | 1033:955 | 21 |
| 7.მგზავრები | 14 | 5 | 9 | 1058:1172 | 19 |
| 8.დელტა | 14 | 3 | 11 | 1057:1197 | 17 |
| 9.სოხუმი | 15 | 1 | 14 | 1098:1328 | 16 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

კალეიდოსკოპი

## ავსტრალიელი გოგონა მოწყენილობის გამო მეძავი გახდა



ავსტრალიის მცხოვრებმა ამანდა გოფმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მაღალანაზღაურებადი მეძავი იყო, კლიენტების გულწრფელ სურვილებზე ისაუბრა. მისი თქმით, მამაკაცებს, რომლებიც მთელი ღამით უკვეთავენ გოგონას, სინამდვილეში სულიერი სიახლოვე სურთ.

გოფი ამბობს, რომ მამაკაცები მართლაც ხშირად არიან დაკავებულნი ერთჯერადი სექსით, მაგრამ ბევრს ქვეცნობიერად უფრო მეტი რაღაც სურთ, და როდესაც ისინი ფულს იხდიან, მას უფრო მეტად ურთიერთობისთვის იძლევიან.

ამანდა გოფი ამჟამად 43 წლისაა, ის 42 წლის ტელეწამყვანს ხვდება. მან სექს-მომსახურება ბანკირ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ დაიწყო. მან გადაწყვიტა, მარტოხელა დედის მოსაწყენი ცხოვრება უფრო საინტერესოთი შეეცვალა. ბორდელში მისვლის იდეა სადილობის დროს დაებადა და ორ დღეში ის უკვე მეძავის ცხოვრებით ცხოვრობდა.

გოფის თქმით, ამაში ცუდი არაფერია, და თუ ქალი ამ სფეროშია დასაქმებული, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის ცუდი დედაა.

ამჟამად ამანდას საკუთარი კომპანია აქვს, რომელიც იმავე სფეროშია დასაქმებული.

## იაპონურ სასადილოებში ქალის ფეხებისსუნიანი ქათმის კერძი გამოჩნდა



იაპონური სასადილოების „ტენკა ტორიმასუს“ ქსელის მენიუში გამოჩნდა შემწვარი ქათამი – კარააგე, რომელსაც ქალის ფეხების სუნი აქვს.

კერძი გაყიდვაში სარეკლამო აქციის ფარგლებში გამოჩნდა, რომელსაც „ტენკა ტორიმასუ“ ქალების პოპ-ჯგუფ „კამენ ძიოსისთან“ ერთად აწყობს. კომპანია ირწმუნება, რომ ახალ კერძს არა მხოლოდ ქალის ფეხების სურნელი აქვს, არამედ ისეთივე წებოვანია.

ქათამს კარაგესთვის ფრიტიურში ხორბლის ფქვილით ან კრახმალით წვავენ. „ტენკა ტორიმასუში“ აცხადებენ, რომ ამ კერძს სხვადასხვა სანელებლებით და სოუსებით ამზადებენ, მათ შორის ტერიაკით, კარით, ვასაბით და პონძუთი (იაპონური სოუსი ციტრუსების წვენის, ტკბილი ბრინჯის ღვინის მირინის და დასის ბულიონისგან).

კერძის ფასი, რომელიც „ტენკა ტორიმასუს“ ტოკიოს რამდენიმე დაწესებულებაში გამოჩნდა, 400 იენს შეადგენს.

## ილონ მასკს ორგია ნარკოტიკების თანხლებით კარნავალი ეგონა



ამერიკული კომპანიების SpaceX და Tesla-ს ხელმძღვანელ ილონ მასკის წარმომადგენელმა ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბიზნესმენი გასული წლის ზაფხულში მეწარმე სტივ ჯურვეტსონის სახლში წვეულებაზე იმყოფებოდა. ადრე ერთ-ერთმა გამოცემამ დაწერა, რომ იმ საღამოს სტუმრებმა ორგია მოაწყვეს და ნარკოტიკებსაც იღებდნენ.

ბიზნესმენის წარმომადგენლის თქმით, ილონ მასკს წვეულება თავისებური კარნავალი ეგონა.

– ილონმა წვეულებაზე რამდენიმე საათი დაჰყო და იქიდან ღამის პირველ საათზე მას შემდეგ წავიდა, როდესაც რამდენიმე მეწარმეს ტექნოლოგიებსა და კომპანიების მართვაზე გაესაუბრა. მას მოეჩვენა, რომ ეს კორპორატიული ღონისძიება იყო თემატური კოსტიუმებით, – განაცხადა ბიზნესმენის წარმომადგენელმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 16 იანვარი



**ვერძი** – შემოქმედებითი შთაგონება გეწვევათ. ჩანაფიქრს იოლად განახორციელებთ. კარგი პერიოდია ასევე საოჯახო პრობლემების მოსაგვარებლად. **კურო** – ინტრიგები და შური საქმეში ხელს გიშლით. კეთილგონიერება გამოიჩინეთ და კონფლიქტში არ ჩაერთოთ. **ტყუპები** – მოვლენებზე მინიმალური რეაგირება მოახდინეთ. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდეთ. თვითრეალიზაციისათვის იღბლიანი პერიოდია. **ლომი** – პირად ცხოვრებაში გიმართლებთ. მამაკაცებისათვის ეს დღე მეტად წარმატებულია. **ქალწული** – გელით ახალი, საინტერესო და ნაყოფიერი ნაცნობობა. მიენდეთ ინტუიციას, რომელიც განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. **სასწორი** – თავი აარიდეთ შურიანი და ცბიერი ადამიანების გარემოცვას. კარგი იქნება, თუ საღამოს უახლოესი მეგობრების წრეში გაატარებთ. **ღრიანკალი** – თავს ლაღად, თავისუფლად გრძნობთ. ზედმეტი გულახდილობა საზიანოა. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ საქმეში გიმართლებთ. დაეყრდენით საკუთარ გამოცდილებას. **თხის რქა** – ძალზე კეთილისმყოფელი, მშვიდი და ჰარმონიული დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მზარდია. **მერწყული** – იდეები გიზღვავდებათ. თქვენს ტალანტს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **თევზები** – ნუ იქნებით აგრესიული. ცდუნების ალბათობა დიდია. დათრგუნეთ პატივმოყვარეობა და ეჭვები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ალპინისტთა ექსპედიცია, რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. პეკინის ისტორიული სახელწოდება; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 20. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული კაფე ძველ თბილისში ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი კლიმატური ზონის სახელწოდება აშშ-ში; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. უდაბნო შუა-აზიაში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ავსტრალიის დედაქალაქი; 22. აეროპორტი პარიზში; 23. მდინარე საქართველოში; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქათამი; 7. ბისკვიტი; 8. სკივრი; 10. მერია; 11. ფილიპინები; 13. აბდომენი; 16. კრემლი; 19. ანტრაქტი; 20. კინეტიკა.

**შვეულად:** 1. პანკისი; 2. ამური; 3. დიატრიბა; 4. ზვიგენი; 5. კილვატერი; 9. კანონი; 12. არტერია; 14. ბრამსი; 15. მონა; 17. ლასტი; 18. საბა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ჰალვა; 2. რელსი; 3. რაე; 4. ჰანოი; 5. ჩაი; 6. ვია; 7. მექა; 8. აისი; 9. ადის; 10. არაუკარია; 11. კანტორა; 12. „ოტელო“; 13. ურანია; 14. აკონკაგუა; 15. აბორიგენი; 16. აიეტი; 17. პა; 18. ტიარა; 19. ანეტო; 20. ანცი; 21. ბოი; 22. ტურისტი; 23. პრინცი; 24. კობრი; 25. ავტო; 26. ლასო; 27. ალმასი; 28. რაფსოდია; 29. კარე; 30. რძე; 31. ძრავა; 32. პრემიერი.

**სურათებზე:** სარა ბაქსტონი; ესტებან ალვარადო.

# სალომე გოგიაშვილის ფეხსაცმლის კოლექცია ერთ დღეში სრულად გაიყიდა



ტელეწამყვანის სალომე გოგიაშვილის და მისი მეგობრის მანო გაბურის მიერ დაარსებული ბრენდის „სალმანის" ფეხსაცმლის პირველი კოლექცია ერთ დღეში სრულად გაიყიდა.

„სალმანის" ფეხსაცმელები ცნობილმა ადამიანებმა შეიძინეს და ინტერნეტში ბრენდის ნაწარმთან ერთად გადაღებული ფოტოებიც გამოაქვეყნეს. „სალმანის" მომხმარებლები გახდნენ ია ფარულავა, გია ჯაჯანიძე, ნანუკა გულუა და ბევრი ცნობადი სახე.

სალომე გოგიაშვილი:

– მადლობა ყველას, ვინც გამოიჩინეთ ყურადღება, გამოხატეთ სითბო და გულით გაგიხარდათ ჩვენი წამოწყება. ჩვენთვის პირველი ნაბიჯია და ვილაცისთვის მოსაწონია, ვილაცისთვის არა. მაგრამ მთავარია, კიდევ ერთი ქართული ნაწარმი შეიქმნა, რომელსაც, ვფიქრობთ, დიდი მომავალი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის ამბიცია გვაქვს. არ მეგონა, ასეთი გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა. პირველი პარტიის ბოლო წყვილიც უკვე გავყიდეთ.

„სალმანი" ტანსაცმლის კოლექციით დაგიბრუნდებათ ძალიან მალე. ვეცდებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფასები იყოს.

# „მგზავრები" საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ




ჯგუფი „მგზავრები" საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ. ეს არის მუსიკალური პროექტი, რომელიც ტელეკომპანია პირველის პირდაპირ ეთერში გადაიცემა. პროექტში ჩართულია გეგა ფალავანდიშვილი და ბრავო რექორდსი.

16 იანვარს საქველმოქმედო-მუსიკალური პროექტი „ბრავო" მაყურებელს პოპულარულ და ყველასთვის საყვარელ ჯგუფს „მგზავრები" შეახვედრებს, ისინი შეასრულებენ 7 სიმღერას და მაყურებელს მოუყვებიან აქამდე უცნობ ფაქტებსა და დეტალებზე ჯგუფის დაარსებიდან დღემდე.

როგორც კონცერტის ორგანიზატორები აცხადებენ, ეს იქნება მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით აღსავსე ახალ მუსიკალურ ტელეპროექტი. გადაცემის მსვლელობის დროს კი მაყურებელს საშუალება მიეცემა, დაეხმაროს ლეიკემიით დაავადებულ 6 წლის ნიკოლოზ დავითულიანს. პატარას დასახმარებლად საქართველოს ბანკში, ლიბერთი ბანკში და თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიშებია გახსნილი.

# თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური დირექტორი იტალიელი დირიჟორი ხდება



იტალიელი დირიჟორი მაესტრო დანიელ ორენი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური დირექტორი ხდება.

ახალ 2018 წელს თეატრი 16 იანვარს „ოპერა-ფანტაზიით" იწყებს. მაესტრო დანიელ ორენი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად საოპერო უვერტიურებსა და ფრაგმენტებს შეასრულებს.

?თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი, მსოფლიოში ვერდის საუკეთესო ინტერპრეტატორად აღიარებული მაესტრო დანიელ ორენი, 2018 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური დირექტორი გახდება.

# ლიზა ყენიამ ჟურნალისტებს ბოიკოტი გამოუცხადა



მომღერალი ლიზა ყენია ჟურნალისტებს გაუნაწყენდა და ბოიკოტი გამოუცხადა:

– არანაირ ინტერვიუს არ ვიძლევი, არანაირი ჟურნალ-გაზეთისთვის და ვაფშე არა აქვს მნიშვნელობა, თბილისელებიდან დამირეკავთ, სარკიდან თუ კამოდიდან, 32-ჯერ ნუ დამირეკავთ, ძაან გთხოვთ. ეხება ყველა ჟურნალისტს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს „ფოპტნეტისა" და შპს „სისტემ ნეტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თამარ არღანაშვილის დედის

**ალა არღანაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ილიკო სუხიშვილი ახალი ცეკვისთვის გააკრიტიკეს



ილიკო სუხიშვილი სულ ახლის ძიებაშია და მოცეკვავეებთან ერთად ახალ საცეკვაო ნომრებს დგამს. ქორეოგრაფი ცდილობს, თანამედროვე სამყაროს ქართული ცეკვის ელემენტები მაქსიმალურად მოარგოს.

ილიკოს ახალი პროგრამა „ქართული ცეკვა", სადაც მოცეკვავეებმა კლუბური გარემოსთვის დადგმული საცეკვაო ნომრები წარმოადგინეს, საზოგადოებამ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის შთამომავალს ასეთი ცეკვების დადგმა არ ეკადრება, რომ მისი ბაბუა და ბებია საფლავში ბრუნავენ და რომ ქართული ცეკვა ამით შეურაცხყოფილია. საზოგადოების ნაწილმა კი განაცხადა, რომ ილიკო გენიოსია და მას თავისუფლად მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს.

ილიკო სუხიშვილმა თავისი ახალი დადგმა ასე განმარტა:

– რა დააშავა ადამიანმა, რომელიც, მაგალითად, ქართველია და სხვანაირად ცეკვა არ გამოუვა?! ვუსმინოთ მუსიკას, გავიგოთ რა არის მასში, რა დევს... რა დევს და ჩვენი დევს ყველაფერი, რაც არ უნდა მოინდომო, არ გამოვა სხვანაირად, უბრალოდ, ტვინი უნდა გავთიშოთ.

**ბახვა ბრეგვაძე:**

– გენიოსია ილიკო!

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

– ზოგს ერთი გენიოსიც არ ჰყავს. ჩვენ რამდენიმე გვყავს და ზოგიც ცოცხალი. ილიკო ერთ-ერთი მათგანია.

მათთვის, ვისთვის ილიკოს ცეკვა ქართული არაა, განვმარტავ: მეც მიყვარს კლასიკური ქართული, განსაკუთრებით ხორუმი, დოლის ყველა ბრაგუნზე, გულიც შესაბამისად მიბაგუნებს. მაგ დროს, ჩემს ფიქრებში, სოხუმში ყავას ვსვამ და ცხინვალში ხაბიძგინს ვჭამ.

სუხიშვილებს ყველა კონცერტში აქვთ კლასიკური ქართული ცეკვა. იმიტომ, რომ ეს საქართველოს და მათი გვარის ისტორიაა, მაგრამ დგამენ ახალსაც, რომლისაც ისე გვეშინია, ისე გვეშინია...

ასე დგამდნენ თავის დროზე დიდი სუხიშვილები, რომლებიც არიან რეფორმატორები თავის საქმეში. ხელოვანიც საქართველოს ისტორიას წერს. ილიკო ცეკვით, ნიკა გაორკესტრებით, ნინო სიმღერით. და ვაცადოთ. თუ ახალი არაფერი დაიდგა, გამოდის, ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორია შეწყდება იქ, სადაც კლასიკური ქართული ცეკვა დაიდგა. არადა ვაგრძელებთ არსებობას. წინსვლა მხოლოდ განახლებაშია მეგობრებო. და ბედნიერები ვართ, რომ გვყავს ხალხი, რომელსაც ეს შეუძლიათ.

**დავით კოვზირიძე:**

– ყველა რატომ იცავს ილიკო სუხიშვილს მაშინ, როცა არავინ არაფერს ერჩის?

**ბაკურ სვანიძე:**

– სუხიშვილებს „ქართული ცეკვის" დეკრიმინალიზაცია მოუთხოვიათ! „ილიკო სუხიშვილი ახლის ძიებაშია და ეს ნამდვილად არ არის ცუდი!" – ასეთ სულელურ აზრებს ვინც ავრცელებთ, იმ დებილური მანჭვა-გრეხის ნახვის შემდეგ, უნდა იცოდეთ, რომ არ შეიძლება ადამიანმა ხელოვნებაში ყველაფერი, მათ შორის არა მხოლოდ ცეკვაში, არამედ პოეზიაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, ფერწერაში, ყველა .ლეობა გაამართლო „ახლის ძიებით!" მაგენი სცენაზე რომ გამოვიდნენ და ჯგუფური ნძ..ევა დაიწყონ, რაც, ფაქტობრივად გააკეთეს კიდეც, თქვენ მაინც იტყვით „ახლის ძიებააო!" ქართული ცეკვის მოტივებში „ტამტამის ჩაკერება" და აფრიკული ხტუნაობა „სიახლე" კი არა, დაქნეულობაა და მაგ ტიპს სასწრაფოდ უნდა უმკურნალოთ ვინმემ! მასე ჩვენ „კავეენზე" ვერთობოდით 90-იანებში! ჰო, კიდევ, არ დამიწყოთ ახლა „არ ხარ მაგ საქმის სპეციალისტი და ნუ წერო!" ეს შტერული ფორმულა კიდე ცალკე უაზრობაა! მასე არაფრის „სპეციალისტები" არ ვართ, არც ოპერის და ადამიანი მღერის თუ ბღავის, ვარჩევთ!

**ქეთევან ხუბულავა:**

– ილიკო არაორდინალური ქორეოგრაფია, მუშაობს ფოლკზეც და ავანგარდზეც. თუმცა ხელოვანი ნებისმიერ მიმდინარეობაში თავის ინდივიდუალიზმს ინარჩუნებს, ყველა ილიკოს დადგმულ ცეკვას ეტყობა, რომ ის ილიკოს დადგმულია. მოდერნ ბალეტი „რამიშვილები" როდესაც შექმნა, მანდაც განასხვავებდი ნებისმიერი სხვა ეროვნების ქორეოგრაფიული ავანგარდული ხელოვნებისგან, იმიტომ, რომ ქართული ცეკვის ესთეტიკა რამიშვილებშიც იგრძნობოდა და აქაც ჩანს, რომ ქართველები ცეკვავენ. და კიდევ ერისიონს და სუხიშვილებს რატომ ადარებთ? დიდ პატივს ვცემ ერისიონსაც, მაგრამ ეგ წმინდა ფოლკლორული ანსამბლია თავისი სიმღერებით და ცეკვებით, თუმცა მათი ცეკვებისა და სასცენო კოსტუმების გენეზისი მაინც სუხიშვილებთან მიგვიყვანს, სუხიშვილები კი ქართული ნაციონალური ბალეტია. ბევრი ქვეყნის ნაციონალური ბალეტის რეპერტუარში არის როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე პროგრამები. მგონი, სჯობს, მადლიერი ვიყოთ, ჩვენი ეროვნული ცეკვები უფროსმა ნინომ და ილიკომ რომ აკადემიურ დონემდე აიყვანეს და მოძრაობები საოცრად დახვეწეს და უმცროს ილიკოს თუ ვერ დავაფასებთ, არაპროფესიონალური შეხედულებებისგან მაინც შევიკავოთ თავი. აქვე ვიტყვი, ავანგარდის გაგება მარტივი არ არის, მაგრამ მისი შექმნა, თან ამ დონეზე, გაცილებით უფრო რთულია. რაც მთავარია, ილიკო ნამდვილად არის გენიოსი, იშვიათია ქორეოგრაფი ამდენ მიმართულებაზე მუშაობდეს, ინარჩუნებდეს ძველს და ქმნიდეს ახალს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ამერიკელი წყვილი პირველი სექსისთვის 11 წელი დიეტას იცავდა



ამერიკელმა წყვილმა, რომელიც სიმსუქნისგან იტანჯება, საკუთარი წონის ნახევრისგან განთავისუფლება და თავიანთი დიდი ხნის ოცნების ასრულება – სექსით დაკავებულიყვნენ, შეძლო.

მისურის შტატის მცხოვრებნი ლი სატონი და რენა კიზერი საერთო ჯამში 572 კილოგრამს იწონიდნენ. თუმცა ოპერაციის წყალობით საკუთარი წონის თითქმის ნახევრისგან განთავისუფლდნენ.

წყვილმა ერთმანეთი 11 წლის წინ წონის დაკლების ცენტრში გაიცნეს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ თერაპიის წესები მათ ურთიერთობას უკრძალავდა. მაშინ სატონმა და კიზერმა გადაწყვიტეს, მკურნალობისთვის თავი დაენებებინათ და, სამაგიეროდ, ერთად ყოფილიყვნენ. ისინი დამოუკიდებლად ცდილობდნენ წონაში დაკლებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

წლების მანძილზე ისინი ფსიქოლოგების თერაპიის კურსსაც კი გადიოდნენ ოჯახურ ძალადობაზე. კიზერი თავის მეგობარ მამაკაცს საყვედურობდა, რომ ის გახდომას არ ცდილობდა, ის კი მას სცემდა. ფსიქოლოგთან მისვლის შემდეგ მამაკაცმა გამოსწორების პირობა დადო.

ოპერაციის შემდეგ სატონის წონა 324 კილოგრამიდან 183 კილოგრამამდე შემცირდა, ხოლო მისი მეგობარი გოგონას წონა 248 კილოგრამიდან 127 კილოგრამამდე.

– ჩვენ აქამდე სექსი არასოდეს გვქონია, ახლა კი ამის საშუალება გაგვიჩნდა, – განაცხადა მამაკაცმა და იქვე დაამატა, რომ მეგობარ გოგონას ხელს სთხოვს, როგორც კი კიდევ უფრო მეტად დაიკლებენ წონაში.

# ზვიგენის მსხვერპლმა სიკვდილის წინ მტაცებლის კიდევ ერთხელ ნახვა მოისურვა



ახალი ზელანდიის მცხოვრებმა, რომელიც ახალგაზრდობაში დიდმა თეთრმა ზვიგენმა დააშავა, გადაწყვიტა, სიკვდილის წინ ისევ ჩავიდეს წყალქვეშ, რათა კიდევ ერთხელ ნახოს ეს მტაცებელი თევზები.

1971 წელს 4,2 მეტრი სიგრძის ზვიგენი თავს დაესხა 16 წლის ბარი უოტკინსს, რომელიც სერფინგით იყო დაკავებული ქალაქ დანიდინის გარეუბანში. მტაცებელმა მისი სერფინგის დაფა დაამტვრია და თავად მას უკბინა. თუმცა ყმაწვილმა გადარჩენა მოახერხა, ხოლო ზვიგენის კბილებმა მის ფეხზე ღრმა ჭრილობა დატოვეს, რომელზეც 90 ნაკერი დაადეს.

გამოჯანმრთელების შემდეგ უოტკინსმა სერფინგის დაფით სრიალი გააგრძელა, თუმცა იმ ადგილებში აღარ დაბრუნებულა, სადაც მასზე თავდასხმა მოხდა. გასულ წელს მან ინსულტი გადაიტანა, რის შემდეგაც შეადგინა სია, თუ რისი მოსწრება სურს სიკვდილამდე. მათ შორისაა ზვიგენის ნახვა მის ბუნებრივ გარემოში.

უოტკინსი შეუთანხმდა კომპანიას, რომელიც ტურისტებისთვის წყალქვეშ ჩასვლას სპეციალური დამცავი გალიის გამოყენებით აწყობს. ახალზელანდიელის ზვიგენებთან შეხვედრა თებერვლისთვისაა დაგეგმილი და ის მას 630 ახალზელანდიური დოლარი დაუჯდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 16 იანვარი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" 15.30, დოკ/ფ 16.30, ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.15 ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.10 მხ/ფ "**ძებნილზე მონადირე**" (ჯ.ბატლერი) 03.03 მხ/ფ "**რიკი და ფლეში**"

06.30 სერ. "**დარჩი ჩემთან**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 18.50 სერ. "**დარჩი ჩემთან**" 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 1 სერ. 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 23.00 სერ. "**დიდი შესვენება**" 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 2 სერ. 01.00 მხ/ფ "**საჩუქარი**" 03.00 მხ/ფ "**ტრანზიტი**" 05.00 მხ/ფ "**მომკალი სამჯერ**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 არჩევანი 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00, ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00 ვახო სანაიას დღის ამბები 15.00, 22.30, საქმის კურსი 16.00 ვახო სანაიას დღის ამბები 17.50, 20.00 0.00, 1.00, მხ/ფ 23.00 საქველმოქმედო კონცერტი

**GDS** 08.00 ან/ფ "ატომი" მ 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 2**" 22.30 მხ/ფ "**ამერიკელი**" 00.30 მხ/ფ "**სირიანა**" 02.45 მხ/ფ "**ხმალთევზა**" 04.30 მხ/ფ "**ძალადობის ისტორია**" 06.15 მხ/ფ "**შურისძიება**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 სისი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40 ახალი ამბები 12.00 ბიზნესკოდი 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. "**პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ჰელლო თბილისი 00.00 მხ/ფ 03.00 კონცერტი

06.15 ისტორიის დღიური 06.25 სპექტაკლი "**დარაბებს მიღმა გაზაფხულია**" 07.55 ფოტოგალერეა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.10 დ/ფ "ნათელი იგი - ზურაბ ჭავჭავაძე" 11.25 დ/ფ "ექვთიმე" (გ.შენგელაია) 12.05 მხ/ფ "**ლომა, დავიწყებული მეგობარი**" 13.10 კონცერტი - ორი ნანა 14.35 დ/ფ "ფეხბურთი უბურთოდ" 15.05 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი 16.25 მხ/ფ "**ფიროსმანი - გაგიმარჯოთ ყველას**" 18.10 ისტორიის დღიური 18.10 დ/ფ "სვანეთი" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 დილის პროგრამა "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 დ/ფ "წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი" 22.25 დ/ფ "ოსტატები" ჭედურობა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ობოლი სული" ივანე მაჩაბელი 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.15 მხ/ფ "**ნაცნობი მგზავრის დღიურები**" **შარდენი** 01.45 კონცერტი -ერიკ კლაპტონი 03.20 მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკიდან**" 05.35 დ/ფ "მეფე ფარნავაზი"

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**16 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.5616 |
| ევრო | — 3.1049 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4881 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5303 |

## ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის







## 28 დეკემბრიდან

### ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას,ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**



## 9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

### ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 16 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი



### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი



### შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



### საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე



### საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა



### ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## დემბელემ ისევ ტრავმა მიიღო



ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა უსმან დემბელემ ისევ ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს.

რეალ სოსიედადთან შეხვედრის შემდეგ დემბელემ დისკომფორტი იგრძნო. აღმოჩნდა, რომ მას მცირე ტრავმა აქვს და რამდენიმე კვირის გამოტოვებაა საჭირო.

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ იმედი გამოთქვა, რომ დემბელე ტრავმას მალე მოიშუშებს და მოედანს დაუბრუნდება.

დემბელეს გარდა, ტრავმა აქვს ანდრეს ინიესტასაც, რომელიც 2 კვირას გამოტოვებს.

## კრიშტიანო რონალდუს ხამესი ენატრება



კრიშტიანო რონალდუ რეალში ხამეს როდრიგესის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც 2-წლიანი იჯარით მიუნხენის ბაიერნის ფეხბურთელია. რონალდუს აზრით, რეალის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ხამესის სხვა გუნდში გაშვებაა, რადგან რეალს შემტევი ფეხბურთელები მოაკლდა.

ამჟამად რეალი ესპანეთის ჩემპიონატში ბარსელონას 19 ქულით ჩამორჩება, რაც რეალისთვის კატასტროფის ტოლფასია. რაც შეეხება თვითონ რონალდუს, მას ასევე არა აქვს კარგი სეზონი და წინა წლებთან შედარებით ის ძალიან ცოტა გოლს იტანს.

## კლოპი სიტისთან გამარჯვების შემდეგ: „ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მანჩესტერ სიტისთან გამარჯვებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ამ გამარჯვებისთვის ბევრი იბრძოლა და შედეგი სრულიად დამსახურებული იყო.

— მთელი მატჩი შესანიშნავად ჩავატარეთ და ძლიერ მეტოქეს არაფრის საშუალება არ მივეცით. ბოლო წუთები კარგი არ იყო, მაგრამ მთავარია, გამარჯვება შევინარჩუნეთ. ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, — განაცხადა იურგენ კლოპმა.

ლივერპულმა მანჩესტერ სიტი 4:3 დაამარცხა და მანჩესტერული გუნდის წაუგებელი სერია შეწყვიტა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— მინდა, შენ ნათესავებზე დაგელაპარაკო!

— მართლა? გისმენ.

— შენი დედაც...! როდის დამიბრუნებ ჩემ 300 ლარს?!

●●●

მკერავმა მამამ შვილი თავისთან მიიხმო და ეუბნება:

— მინდა, კაცურად დაგელაპარაკო.

— გისმენ, მამა.

— შვილო, როდესაც სკოლა დაამთავრე და განაცხადე, რომ სწავლის გაგრძელება გსურდა, მე და დედაშენმა კემბრიჯში გაგაგზავნეთ და სწავლის ფულიც მოგეცით. კარგი მოსწავლე იყავი და პირველი ხარისხის დიპლომი აიღე. შემდეგ ჩააბარე ოქსფორდში. იქაც საუკეთესო იყავი და ჰარვარდში აგიყვანეს, სადაც ბრწყინვალედ დაიცავი დისერტაცია. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ შენ ახლა უკვე მოზრდილი ხარ და ბოლოსდაბოლოს, უნდა გაერკვე, რა გინდა, ქალების მკერავი იყო, თუ კაცების?

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— არწივივით მახვილი მზერა მაქვს, გველივით მოქნილი ვარ, ლომივით უშიშარი, ყვავით ჭკვიანი, ზვიგენივით სწრაფი...

— აუუ! შენ რა მუტანტი ყოფილხარ!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— მე და ჩემ ქმარს ერთნაირი გემოვნება გვაქვს.

— მართლა? და რაში გამოიხატება?

— ის მე საუკეთესოდ მთვლის და მეც საკუთარ თავს საუკეთესოდ მივიჩნევ.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, რეზინის გასაბერი ქალი გიყიდია, მართალია?

— ჰო.

— კი მაგრამ, ცოლი ხომ გყავს?

— ეე, ვერც კი წარმოიდგენ, როგორი კარგია რეზინის ქალთან გულახდილი საუბარი.

●●●

სახლში ადრე დაბრუნებულმა ქმარმა ცოლთან მეგობარს შეუსწრო, იარაღი ამოიღო და მეგობარი მოკლა.

ცოლმა აუღელვებლად შეხედა და ეუბნება:

— შენ თუ ასე გააგრძელებ, მალე მეგობრების გარეშე დარჩები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რაიან გიგზი უელსის ნაკრების მწვრთნელი გახდა



უელსის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი რაიან გიგზი იქნება. გიგზი კონტრაქტს რამდენიმე დღეში მოაწერს ხელს და თავის საქმიანობასაც შეუდგება.

უელსის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ გავიდა და ამის გამო კრის კოულმენმა თავისი სურვილით დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი. მას შემდეგ ეს თანამდებობა ვაკანტური იყო და უელსის საფეხბურთო ფედერაცია გიგზის კანდიდატურაზე შეჩერდა. გიგზმა თავიდან უარი თქვა, მაგრამ საბოლოოდ დათანხმდა.

აღსანიშნავია, რომ რაიან გიგზი მთავარი მწვრთნელი არასოდეს ყოფილა, ის მხოლოდ თანაშემწედ მუშაობდა მანჩესტერ იუნაიტედში ლუი ვან გაალის დროს.

## მანჩესტერ სიტიმ ალექსის სანჩესზე უარი თქვა



არსენალის ფორვარდი ალექსის სანჩესი სავარაუდოდ მანჩესტერ სიტიში აღარ გადავა, რადგან სიტიმ მასზე უარი თქვა. მიზეზი ზედმეტად დიდი ანაზღაურებაა, რომელიც სანჩესმა მოითხოვა. გარდა ამისა, სანჩესის მიმართ ინტერესი მანჩესტერ იუნაიტედმაც გამოიჩინა და ის ჩილელ თავდამსხმელს გაცილებით უფრო დიდ ანაზღაურებას სთავაზობს. შესაძლოა, რამდენიმე დღეში ალექსისი ოფიციალურად მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი გახდეს.

თვითონ ფეხბურთელი ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ყაჩაღის სახელწოდება ძველად გურიაში; 2. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. მდინარე პრაღაში; 6. ქართველი ძალოსანი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი, ტყიანი ბუნებრივი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 1. მდინარე ახალციხეში; 5. იტალიური საავტომობილო კომპანია; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. ნავთობის, წყლის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. ფილატელისტის ალბომი; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. შტატი აშშ-ში.

**შეადგინა თ.კობალეიშვილმა**